



ଶ୍ରୀମତୀ

(ନାରୀଭାଲୀ ମହିଳା ଶ୍ରୀମତୀ କୃତ୍ତବ୍ୟାକିଲାପନକାରୀ)

# ଓଡ଼ିଆ ରେ କାଳିଶ୍ଵର

Настоящая пьеса подъ загл. „деньги и происхождение“ разрѣшена Главноначальствующимъ на Кавказъ для представлениія на сценахъ края—Октября

6 дня 1899 г. Тифлисъ.

Предсѣдатель комитета М. Гаккель

Секретарь Н. Меликъ-Нубаровъ

## მომებედნი პირნი:

(აქეე მოხსენებულია, გინც შირველათ წარმოადგინეს ეს შიგსა)

თავ. დაგით დამბაძე. 60 წლ.—აცვია: პირველ მოქმედებაში—ძველი, ფარჩის შავი ახალუხი, მაღალი შავი ჩექმები. მეორე და მესამე მოქმედებაში—ზამთრის ქართული კაბა, ბუხრის ქუდი . . . . იმედაშეიღი.

ქნ. ბაბალე დამბაძისა—50 წლ. ამისი მეუღლე—აცვია: პირველ მოქმედ.—ლურჯი, ჩითის კაბა, თაღ ხი სარტყელითა და ოეთრი გულის პირითა, ძველი ლეჩაქი. მესამე მოქმ.: მიხავის ფერი, შალის კაბა, შავი სარტყელითა და გულისპირითა, ახალი ლეჩაქი და არეშუმის თაღი ბაღდადი . . . . ქ. ავხაზიშეიღისა.

თავ. ლეგან დამბაძე—მათი 20 წლის შვილი—ოცავნი ვილიოპრედელიაიცია—აცვია: პირველ მოქმ.: საღდათის მუნდირი, ჩექმები და ქუდი. მესამე მოქმ.: ფარჩის ახალუხი, ფერადი ჩერქესკა, ქამარ-ხანჯალი, ხმალი და მასრები ვერცხლში ჩასმული და ოქროში დაფერილი, გაპრიალებული (ლაკიროვანი) ჩექმები, ბაბორიანი ზამთრის შინელი, მაღალი კალმუხის ქუდი . . .

ადრე კავკავი არ იმართვა. შათირიშეიღი.

თავ. ქოწია ლამბაძე, 24 წლ. უსაქმო,—თავ. დავითის ძმისწული—აცვია: პირველ მოქმ.—ჭუჭყიანი ახალუხი და ძველი ჩერქესკა, უბრალო ხანჯალი ტყავის ქარქაშში, ძველი გაქუცული ქუდი და აგრეთვე ჩექმები (უქუსლო). მესამე მოქმ.—თითქმის ისე, როგორც მის ბიძაშვილს თ. ლევანს . . . . ს. სვიმონიძე.

არტემ პეტრუსიჩ შარბათგვი—58 წლ. მდიდარი მო-

იჯარადრე — აცვია: სერთუკი, გახამებული პერანგი, წვრილი გალსტუკი, შავი რუსული ქუდი . . . ვ. აბაშიძე.

სოფია, 40 წლ. — ამისი მეუღლე. აცვია: პირველ მოქ. — ჯერ ძველი „ბამბაზის“ ქვედა ტანი და აგრეთვე ჩაქებიანი კურტკა, ძველი ლეხაქი. მერე, როცა თ. დავით ლამბაძე ეწვევათ — ახალი შალის კაბა, თავის კურტკია, ზემოდან მოკლე პერელინკა, ახალი, დაბასმულა ლეხაქი. ხელებზე — პრტყელი, მძიმე ოქროს ბრაულები და ბეჭები . . . . ნ. გაბუნია-ცაგარდისა.

მაშა. — მათი 18 წლ. ლამაზი ქალი. აცვია: ეკროპიული მოღის კაბები . . . . . ტასთ აბაშიძე.

ბაგრატი — 46 წლ. ჩარჩი, — სოფიოს ძმა. აცვია: შავი დიბეთის მოკლე ახალუხი, წელზედ — განიერი, მძიმე ვერცხლის ქამარი თქროში დაფერილი. გულზე — აგრეთვე საათის ძეწვე. ახალუხის ზემოდან აცვია — ლურჯი „შაკეტკა“. ზოლებიანი შავი შარვალი და რუსული ქუდი . . . . . ა. ადამიძე.

იგანე მუშტამე, 52 წლ. — სოფლელი ჩარჩი. აცვია: ნაცრის ფერი ჩოხა, ჩითის ფერადი მოკლე ახალუხი, პრტყელი ტყავის ქამარი, განიერი გრძელი ხანჯალი, რგვალი, შავი ბატკის ქუდი . . . . გ. საფაროვი.

ტასაა — სოფლელი მახუცებული დედაკაცი. თ. ლევან ლამბაძის გამზდელი — აცვია: თალხი ჩითის კაბა, ალაგალაგ საკერებელ დადებული, აგრეთვე მოსახვევი თავზე. ფეხზე — წინდები და ფლოსტები — ელ. ჩერქეზიშვილისა.

გლეხ-ქაცება — აცვიათ: ზოგს შავი ჩოხა, ზოგს თეთრი. თავზე — აგრეთვე, ძველი ქუდები ნაბლისა. ფეხზე — ქრელი წინდება და ქალამნები — დასამიძე, ელ. ჯავახაშვილი, დ. ხოსროშვილი.

ბიჭი ბოჭული (პრასტავი) . . . . . ა. მძინაროვი.

## მოქმედება პირველი

მოქმედება თავ. დავით ფამბაძის სახლში — სოფელში: სცენა  
 წარმოადგენს დიდს თაღიან ათასს. შეა კედელთან სდგას გრძე-  
 ლი, განიერი, ფარდაგ დაფენილი ტახტი, რომელზედაც აწ-  
 ვება ღრივლე გახუნებულ ჩით გადაერული მუთაქა. მარცხენა  
 კედელთან სდგას მაგიდა, რომელზედაც აწვდია: ჩაის ჭურჭე-  
 ლი, მწვანე ჩინური ქილა, ბოთლი და სხვა. მაჯვენა კედელ-  
 თან სდგას დაბალი კამოდი, რომელზედაც არის: ფამილია, სარ-  
 ბე, ხის ჰატარა უეთი. შეა კედელზე, ტახტის ზემოთ, გა-  
 კრულია დათვის ანუ მგლის ტეავი და ზედ გამწყრიებულია:  
 თოფი, ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა, მათრახი, აზართვება და  
 სხვ. ხუთიღლე სკამი, ზოგი ხისა, ზოგიც ჩადაისა; არი კა-  
 რი და ორი ფანჯარა: მარცხენა კარებათ გადის — დერეფანში,  
 მარჯვენა — დანარჩენ ათახებში. ფანჯრებს აქვს საჭრეო სისუ-  
 ფთავის ფარდები, რომელიც წარმოადგენს დროს აკეცილია.  
 ტახტზე მოკეცილი ზის თ. დავით ფამბაძე და ჩიბუხესა სწევს.

## გამოსვლა პირველი

### თავ. დავით ფამბაძე

დავით. აი გიდი! უბრალო სომხის ბიჭები, აი მი-  
 კირნისა და ყასბის შვილები უნდა სწავლობდნენ და ჩე-  
 ნი შვილები-კი ტყე-ტყე დარბოლნენ ნადირივითა! (მწა-  
 რეთ) ჰმ! რატო ღმერთი არ გაიცინებს!.. მაგრამ, ჩვენი  
 შვილები აბა რას ისწავლიან, როცა ქამარ-ხანჯლისთვის  
 სული სცვივათ! როცა სუ მუშტზე იცქირებიან! ე... ეხ! .  
 ბევრი, ბევრი მიაღწიონ ორ-სამ კლასამდინ, მერე ან გა-

მოგიგდებენ, ან თვითონ გამოცვივიან შკოლიდან: „სწავლა აღარ გვინდა, პომეტშიკობა გვინდა!“ დასწყუბვლოთ დმერთმა, რა ემართებათ!.. ეხლა, მაგალითად, ავილოთ ჩემი შვილი ლევანი: სად არ გინდა მყავდა სასწავლებლათ,—ჩასტნი პანციონები იქით გადავდოთ,—რეალნშიო, გემნაზიაშიო, დეორიანცი უჩილიშჩაშიო, ჩემო ბატონო, საღავლიშიო... მაგრამ რო ვერსად გაიტანა თავი! ზოგან—უჩიტლებს ლანძლვა და გინება დაუწყო, ზოგან—მითხრეს: „ცულლურია, არა სწავლობსო“... მერე, რო აღარა დამჩა-რა, ავდექ და ვოენათ შევგზავნე! სამი წელიწადი „ვოლნოვპრედელიაუშჩია“ თუ რაღაც ჯანაბა, იმათ იყო და აგერ იქიდანაც პანლურ ამოკრული არ მობრძანდება! იწერება თუ: „იუნკრის ეგზამენი ვერ დავიჭირეო!“ კაცო, თუ-კი სხვები იჭერენ, შენ რაღა ხარ? შენ რაღა იმათზე ნაკლები კაცის შვილი ხარ“?!?

### გამოსვლა მეორე

დაგითი და ბაბალე

ბაბალე. რა ვქნა, რათ დაიგვიანა?.. ემანდ თვალები-კი არ დამიდგეს და ცხენი არ დაპორთხოდეს! დაგითი. ახლა ცხენი!.. აღბათ პოეზია დაიგვიანა და...

ბაბალე. ხო, მართლა, რა უნდა მეოქვა... ლევანი რო მოვიდეს, ემანდ აურ-ზაურობა-კი არ დაუწყო? დაგითი. აურ-ზაურობა-კი არა, კარგით გამოგილანდამ ი შენ ლევანსა და ისე გავუშვებ!

ბაბალე. რა ვქნა, კაცო, რამ გაგაგიგა! რა-კი არ

ისწავლა, იმიტომ სამი წლის უნახავი შვალი უნდა მოჰკლა?

დაგითი. სულაც რო არ დამენახოს ის მირჩევნიან! ფულიდან გამაჩანავა და მაინც კაცი ვერ გახდა! არა, რა იმედით იყო, რო არა სწავლობდა?

ბაბალე. თვალი სწავლასაც დაუდგება! ოღონც ჩე-  
მი ლევანი კარგადა მყავდეს, თორე, ის მშიერი არ მო-  
კვდება! თავადიშვილია, ლამაზი ბიჭია, ენაცვალოს იმას  
დედა, და ათას თუმნიანი ქალი არ დაეკვეთება!

დაგითი. (ჩაიცინებს მწარეთ) ჰმ! ათას თუმნიანი!..  
ხო, მაგ იმედით იყავი და! ის დრო წავიდა, ჩემო ბაბა-  
ლე, როცა თავადობის მნიშვნელობა ჰქონდა რამე! ის  
დრო მოკვდა! „გამოიცვალა დროება, —ჩარხი უკულმა  
ტრიალებს!“ ის დამენაძლიერ, ხვალ რო ერთ-ერთ ვაჭარს  
კაცი მივუგზავნო: „შენი ქალი მოგვათხოვეთ“, თუ  
იმან არ შემოგითვალოს: „მე უსწავლელ თავადიშვილს  
ქალს არ მივცემო“!

ბაბალე. არ მოგვცემენ და ნუ მოგვცემენ! ე თავა-  
დის ქალები ხო ქვეყანაზე არ გაწყვეტილან!

დაგითი. თავადებსაც, ვისაც-კი ცოტაოდენი შეძლე-  
ბა აქვს, შენ უსწავლელ შვილს...

ბაბალე. (დაარღვევს) მართლა და რა ხელზე დაგი-  
ხვევია ე ოხერი სწავლა! ჩვენი შვილი ხო პირველი და  
უკანასკნელი არ არის! მაგალითად — აგერ შენი ძმისწუ-  
ლი კოწია!

დაგითი. ახლა იმათში რა კეთილს ვხედამ: მამულს  
იკირავებენ, ზიან და სჭამენ მერე, როცა შამული ტორ-  
გით ეყიდებათ, ავაზაკობას იწყებენ და ბოლოს ციმბი-  
რით ათაებენ!

ბაბალე. ჩვენ შვალს ჯვარი ეწეროს ქა! კაცო, რა

მოგჩვენებია, მარცხნა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ დღესა!

დავითა. არა, ერთი მითხარ, თუ რა იმედით იყო შენი პატიოსანი შვილი ლევანი, რო სამსახურდან გამოდიოდა? თუ პამეშჩიკობის იმედი ჰქონდა, ე მამულიკი აღარსად არი და! ე ტყე, შენც კარგად იცი და იმანაცა, რო დიდი ხანია ბანკში დაგირეებულია და სარგებლის შეტანის თავიც აღარა მაქვს! ე მეტი წილი მიწებიც არტემას დარჩა თავის ვალში!

ბაბალე. მართლა, ხო, მაგაზე მოვაგონდა! იცი რა, დავით, მოდი და ე ჩვენ ლევანს არტემას ქალი გავურიგოთ! არტემა მდიდარი კაცია, ქალიც ლამაზი და ნასწავლი ჰყავს... მხალოდ ეს არი უბედურება, რო დაბალთაგანნი არიან!..

დავითი. დაბალთაგანნი! შენ გინდა, რო ფულიცა ჰქონდეს და მალალთაგანიც იყვეს? ევ არ შეიძლება, ეგ იშვიათად შეგხვდება!

ბაბალე. კარგი იქნება არა, დავით, რო ლევანს გავურიგოთ?

დავითი. ჰაი, ჰაი, რო კარგი იქნება! არტემა შეძლებული კაცია, თავი ქალს კაი მზითევს მისცემს, აქ ჩვენ მიწებს დავიბრუნებთ...

ბაბალე. არა, ეგ საქმე უთუოთ უნდა მოვახერხო! შენ ერთი ფული იშოვე სადმე: ერთ ორ ხელ კაი ტანისამოსს შეუკერამ ჩემ ლევანს, ენაცვალოს იმას დედა, ჩავიყვან ამ ზამთარს ქალაქს და უთუოდ არტემას ქალზე დავნიშნამ!

დავითი. „ლვინო არხად იყოვო და ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო“, — შენ სწორეთ ეგრე მოგდის! ჯერ გაიგე, აქლა არტემაც მოგარომევს თავი ქალსა?

ბაბალე. ვაი ჩვენი ბრალიცა, რა დღეს მოვესწა-

რით, რო უბრალო ყაჭარმაც დაიწუნოს სასიძოთ თავა-  
დიშვილი!

დავითი. რა ვქნა, ეგრე გახდა და! „თურაშაულის  
პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსაო!“ ერთი დრო იყო,  
რო არტემას ნაირები ყმათ გვადგნენ ჩვენა და ეხლა-კი  
იმათი სახვეწური საქმე გაგვიხდა (შემოდის ტახია)  
ტახია. გლეხ-კაცები გიახლნენ, ბატონო, ძეძვი ჩა-  
მოიტანეს...

დავითი. მოიცა, მოვალ. (გადის)

გამოსვლა მესამე

### ბაბალე და ტახია

ტახია. რა ვქნა, კნეინა, ჩემი გაზდილი ჯერ არ  
მობრძანებულია?

ბაბალე. რას ამბობ, ტახი, ლამის გული ვარმით  
გამისკდეს!

ტახია. (ამოთხერით) ვაიპ, ჩვენი ბრძლიცა! საბრალო  
დედის გული რო არი!

ბაბალე. კაცის გული აღვილათ იტყვის ტახი ექვ-  
შეილში ეგ ერთად-ერთი-ლა შემრჩა და ეგეც აგერ, თი-  
თქმის სამი წელიწადია აღარ მინახამს!

ტახია. აი ეხლა მობრძანდება და გაგხარებს!

ბაბალე. ერთი დროზედ მოვიდეს ი რაღაც წყეული  
მაშინაა! ერთი ჩქარა დავინახო ჩემი ლევანის ლამაზი  
თვალები!

ტახია. ენაცვალოს იმას გამდელი! აბა მე-კი არ  
მოეელი სული სულზე იმი ნახვასა! კნეინა, ჩემი გაზ-

დილი, ამ სამ წელიწადში სუ გამოიცვლებოდა აი, წვერ-  
ულვაშიც ამოუვიდოდა!

ბაბალე. ქა, როგორ არ გამოიცვლებოდა! რა ვი-  
ცი, წიგნში-კი სუ მწერდა: „რო იცოდე, დედა, ქარ-  
თული ენა, თითქმის სრულებით დამავიწყდაო!

ცხსია. აბა, რასაკვირველია, რო დაავიწყდებოდა!  
ვინ იცის, ეხლა რუსულს სხაპა-სხუპით ლაპარაკობს!

ბაბალე. ვენაცვალე იმასა, ეხლა მოვა და მეც მა-  
სწავლის!

ცხსია. რა დაგემართათ, კნეინა, რო აქამდინ ვერ  
ისწავლეთ ი რუსული ენა? რა ვიცი, თითქო პატივში  
თქვენა ბრძანდებით და! ე ჩვენისთანა საწყალმა ხალხმა  
რაღა უნდა ჰქნას!

ბაბალე. ე ჩემი სამყოფი-კი ვიცი და... (ფანჯარაში  
გაიხედავს) მოვიდა, მოვიდა! ენაცვალოს იმას დედა!  
(გადის)

ცხსია. (ფეხ აჩქარებით უქან მისდევს) აბა, საღა ბრძან-  
დება, საღა... (კარები დაა რჩება. ცოტა სანს უქან დერქ-  
ფხიდან მთისმის ბაბალეს ხმა: „შვილო, ლევან!.. შენ გე-  
ნაცვალოს დედა, შვილო! ჩემო დამტირებელო! ჩემო!..  
დევანის ხმა: „Постой, да постой-же, мамаша“!..)

გამოსვლა მეოთხე

ბაბალე, თ. ლევან და ცხსია

ცხსია. (წინ მთირბენს და ეხვევა ლევანს) როგორ  
ბრძანდები, შენი კირიმე?

ბაბალე. შვილო, ესა ტასია: გახსომს შენი გა-  
ზდელი?

ცასია. ქა, როგორ არ ეხსომება! პატარა რო იყო  
სუ ტიროდა ხოლმე: „ტაციამ, ტაციამ ამიკანოს ქელცია,  
ტაციამა“!

ლეგან. (ქუსლე ერთმანეთს არტყაშს და „ჩესტე“ უპ-  
თებს) А...а, очень приятно! ტასია, ტასია! მამაშენ რა  
სახელი იყო?

ბაბალე. (აღტაცებით შვილე გადაეხევება) უი, შენი ჭი-  
რიმე, შენი, რო ქართული ენა აღარც-კი გეხერხება!

ცასია. მამიერა რა ერქვა, გენაცვალე? — გოჰტიმე  
ერქვა, შენი ჭირი წაიღო!

ლეგანი. (ქუსლებს ერთმანეთს არტყაშს) მაშ შენ —  
Настасья Гостимовна!

ბაბალე. რა გიჭირს ტასი, სახელი-კი გაგიპრუე-  
ლი და!

ცასია. უი, შენ-კი გენაცვალე მაგ ჟუჟუნა, მაგ  
მაყვალივით თვალებში! კნეინა, ერთი უცქირე ამი გა-  
ბაღრულ სახესა! თხუთმეტი დღის მთვარეს არ უგავ ვ  
პირი! როგორ გასუქებულა ქა, როგორ გალამაზებულა!  
წითელი ვაშლივით ჩახახი არ გაუდის!

ბაბალე. ემან ჩაჩუმდი, თვალი არა ჰკრა! (შვილე  
უცქერის და სიხარულის დიმილით) საღ არი გასუქებული,  
საღ არი გალამაზებული! გონჯია, გონჯი, ენაცვალოს  
ამას დედა! (გადაეხევება შვილე) ვეთაცვანე ქა, ბიჭა, ბიჭ-  
სა — ბიჭიკოსა! ე როა სხვა შვილია! მხოლოდ ამან იმი-  
თი გვაწყენა, რო აფიცერი არ გამოვიდა!

ლეგანი. На къ чорту мнѣ! — Зოмѣშჩიკობა არ მირ-  
ჩევნიან! (გაიგლის და გამოიყდის სცენაზე) Живи въ свое  
удовольствіе! Что хочешь дѣлай!

ბაბალე. ურიგოთ ჩაგხატამდა, მე შენ გითხრა, აფი-  
ცრის მუნდირი! ჯერ ამაში რა გამოკვლანწული ხარ!

ლეგანი. Правда, мамаша, ამ солдатскій მუნციტა-  
ში ხო ალარ ვიკლი ჩერქესკა უნდა ვიყიდო!

ბაბალე. ჩერქესკასაც გიყიდი, გენაცვალე, და ახა-  
ლუხხაცა! ჯერ აი მამაშენმა ფულები ისესხოს საღმე!  
ჩაგიყვან ამ ზამთარს ქალაქს და ისე მოგრთამ, რო უვა-  
ლას თვალები რჩებოდეთ შენხე!

ლეგანი. ჩუ სხ, თექ სხ! Мамаша, აქ ტანციაობა  
არ არის?

ბაბალე. როგორ არა, გენაცვალე, უოველ დღე-  
ლხინია ხოლმე! იქნება ლეკური დაგავიწყდა?

ლეგანი. Что ლეკური! მე უფრო ეвропейскіе ტან-  
ცები არ ვიცი! лансъе, шаконъ, миньонъ, венгерка!  
(ცეკვავს) рамъ-па-памъ-па-па! лалъ-ла-ла-ля! (სპამს აი-  
ღებს და აცეკვავებს)

ტასია. თითქო, „არა ისწავლა-რაო“ — ბატონი რო  
ბაბანებდა! ქა, ამაზე მეტი უ-ვლა რაღა უნდა: დიალ  
ერთმა და ორმაც არ იცის ამისთანა რუსული და ტან-  
ციაობა!

ბაბალე. ბატონმა რაც არა თქვას, ის არი გახაკვა-  
რველი!

ლეგანი. Мамаша, აქ ლამაზი „ბარიშნები“ მного?

ბაბალე. (ეხვევა შეიღს) უი, შენი ჰირიმე! არშუო-  
ბაც იცი, გენაცვალე?

ტასია. რა დაუშლის: მე შენ გითხრა, თვალია კ-  
ლია თუ ტანი! კნეინა, აბა ამი ქორწილში-კი არ გვე-  
ქნება ამბავი! ასეთ ლეკურ კი დაუვლი შენ ქორწილ-  
ში, თავ შემოგვლოს შენი ტასია, რო! ერთ კაბას ხო  
შემიკერამ?

ბაბალე. შენ პირ შაქარი ტასი! ოლონდ ამი ქორ-

წილს-კინ მომასწროს ღმერთმა და ერთ კაბისაც შეგიკე-  
რამ და ორსაცა! სუ თავით ფეხამზას შეგმოსამ!

(ტასა. ასეთი ლავაშები გამოვაცხო ამი ქორწილ-  
ში, რო სანახვათ ღირდეს!)

ბაბალე. ქა, მართლა, სუ დამავიწყდა, რო ნამგზა-  
ვრია და პური ეშიება! (დაფაცურდება) აბა, ტასი, გაიქე  
ჩქარა, დედალი შემოიტანე, ვარიებიც გააცხელე, ერბო-  
კვერცხი შესწვი..

(ტასა. ეხლავე, ეხლავე! ასეთი სუფრა გაუშალო,  
რო თვალით გაძლეს! (ფეხ ახქარებული გადის)

ბაბალე. ერბო-კვერცხი ხო გიუვარს, შვილო?  
ლეგან. იყენე, ლვინოცა!

ბაბალე. ასეთი ფაფასეებ ლვინო დაგალეინო, რო..  
მერე, ახალი ნახადიც არი! კი არ გაწყინოს გენაცვალე!

ლეგან. მაწყინოს რა, ქალი ხო არა ვარ! (სარკეს  
წის ულვაშებს იგრეხამს და თმას იფარცხების) Чертовски  
загорѣлъ! Ничего, для мѣстныхъ, крестьяночъ и эта-  
го много! Эхъ какую нибудь, этакую красотку под-  
ѣпить! Потомъ другую, третью и т. д. Ей-Богу,  
хорошо жить въ деревнѣ! Все къ твоимъ услугамъ!  
(ტასას შემთაქეს მოხარმელი ლედალი, პური, ვარია, ლვინოდეს.)

ტას. აბა დაბძანდი და გულიანათ შეექცი.

ლეგანი. (დაჯდება მაგიდასთან, გულანათ დაიწუებს ჭა-  
მას და თან დვინის სმას) უხ, როგორ მოჰშივნია პური!

ტასა. დალალულია, გენაცვა, და მა რა იქნება!

ლეგან. უხ, დედა! რა მიხარიან, რო ჩემ სახლში

მოველი! ეგხლა რამდენსაც მინდა ვჭამ, ვსვამ, დავიძინებ! Наконецъ то буду жить по человѣчески!

ბაბალე. ლოგინ დაგიგებ და ისე გამოგშუშამ რო...

ლეგან. იცი დედა, რა უბედურობაა ეს ვოენისა! მსახური: ერთი მინუტი მოსვენება არა გვაქვს!

ბაბალე. უი მოუკვდეს დედაშენს თავი, რო თავის აზიზ-მაზიზი შვილი ეგრე ეჩაგრებოდა!

ტასაა. თქვე დალოცვილო, მართლა მეტი-მეტი ასირებული სწავლაც როდი ვარგა!

ლეგან. ყველა შენი მმანებელია, — უკანასკნელი ფელძოებელი-ც-კი!

ბაბალე. აი დააფეთოს მამა-ზეციერმა, ი ვიღაც დამფეთებელია!.. (ტასაა) ერთი ვაიქე, ტასი, და დავითს შეატყობინე ლევანის მოსვლა! რა ვქნა, რაიქნა ი კაცი?

ტასაა. ბატონი წელან გლეხ-კაცებს მიუძლოდა ვენახებისკენ; აბა გავიხედო! (გადას)

### გამოსვლა მექუთე

შემოდიან დავით, ბაბალე, ლეგან, მერე გლეხ-კაცები დავით (შვილსა) ოხ, ცეტო, მოსულხარ! რა ქენ შვილო, დასრულებ?

ლეგანი. (წამოხტება, ქუსლებს ერთმანეთს უემოჟკრამს და „ჩესტს“ უეთებს) Здравья желая, батюшка!

ბაბალე. ერთი დაინახე, დავით, როგორ გალამაზებული და!

დავით. შენ ეს მითხარ, ჭკუა მოპმატებია? „ისევ ჩემო კარალულო ჩალაო“! — არ გინდოდა კეთილი, შეი-ლო, და...

ბაბაღე. (გააწევეტინებს) კარგი ერთი, დაეით და რა  
დროს ეგვინია: ხედამ ბავშვი დაღვალულია!

ღვანე. ნე ერდის პაპა: ი თაკმ ხია-  
ნომ ი პომენიკომ ბუ, что мое почтеніе!

ბაბაღე (აღტაცებით) უი, შენ-კი გენაცვალე მაგ რუ-  
სულში!

დაგით. აი გამიწყრეს შენი ხაზეინობაც და პამე შჩი-  
კობაც! ჯერ ეგრე იძახით, შველო, და მერე-კი, პომე-  
შჩიკობის მაგივრათ, ქალაქის „ბულვარისა“ სთელამთ  
ხოლმე! არა, შველო, მეტი საზღვრი არ არი: უნდა ზედ  
სიძეთ შეგვზანო ვისთანებ! (შემთდიან გლეხეცაცები)

გლეხეცაცები. ბატონი შვილი ადლეგრძელა ღმერთმა!

ბაბაღე (ღვანებს) ესენი შვილო ჩვენი ნაყმები არიან.

ღვანი (გლეხეცაცებს) ვარები!

დაგითი. (შვილს) ერთ! დუშტვინე! მწყრები-კი ნუ  
ააფრინე!

ბაბაღე. (გლეხეცაცებს) ქართული სუ გადაჰვიწყებია  
და რუსულით მოგეხალამათ!

გლეხეცაცები (ღვანებს) გმადლობთ, შენი ჭირიმე! (და-  
ვითს) მოგვილოცამს ბატონო, „პოლპონიკი“ შვილის  
მობბანება!

დაგითი. „პოლპონიკი“, თქვენ ნუ მომიკვდებით,  
ერთი ჩინი-ლა უკლია პოლკოვნიკობასა!

1—გლეხეცაცე. (მაგიდაზე ქიდასა სდგამს) სუ ახალი  
დადებული გახლავს!

2—გლეხეცაცი. (კალათასა სდგამს) ესა, შენი ჭი..იმე,  
მაწონი გახლამს — წუხელი ჩემთა დედაკაცმა შეადედა...

3—გლეხეცაცი. (ქათამს უშვენს) ეს დედალი, შენი  
ჭიიმე, ე პატარა კნიაზ დაუკალით!

ბაბ. მოიცა... ტასი! ტასი! (შემთდის ცასია) ეს  
დედალი საქაომეში შეანწყვდიყ. ცას. (ქათამს გამოართმეჭს): უხ, შენ გენაცვა, რა  
სუკანი დედალია! ცარიელია ქონია რაღა! ამას რაღა  
ერბო უნდა! (გადის)

დაგ. (გლეხებაცებს) მოდით, პატარა არაყი გადაგა-  
კვრევინოთ. (გადმოიდებს საფვინეს და სამსამ ჭიქა არაუს  
ალევინებს გლეხებაცებს)

გლეხებაცები. (ჭიქით სელში ილოცებიან) ღმერთმა გა-  
ცოცხლოთ. ღმერთმა ე პატარა კნიაზის ცოლ-შვილს  
დაგასწროთ! ააშენოს ეს ოჯახი და სიხარული ნუ მო-  
კლოს!.. (გადაჭკრამენ) მადლო ..ობთ, აგაშენო...ოთ! (სჭი-  
მენ შეჩსა, რომელსაც დავითი მოუტეხამს)

დაგ. (ერთერთ გლეხებაცს მავაში სწერება) რონიერი  
ხარ? თუ ცილ့ნია?

გლება. რა ღონიერი არ არი შენი ჭირიმე: ყველი-  
ერში ისე ჩაგვინტვრევს ხოლმე გვერდებსა რო... (იცინიან)

დაგ. აბა მაშ გნახოთ, აბა მეჭიდავე!

დაგ. (შვილსა) ეიჲ! აქ მუშტი-კრივს კი ნუ მოჰყვები!

დაგ. უთხარი, დედა, მეჭიდავოს.—მინდა ვნახო ღო-  
ნიერია თუ არა?

ბაბ. დაანებე გენაცვა თავი! აბა ე მაგ ტურტლიანი  
ბიჭისა რა ტოლი ხარ! რა თავდაბალია, ენაცვალოს  
ამას დედა!

გლებ. სიმღაბლისთვინ სიმაღლე მისცეს ღმერთმა

დაგ. (გლეხებაცებს) ივანე მუშტაძე აქ არის

გლებ. აი, ჯანაბას იყვეს ისა, ი რო კაცია! იმაზე  
თარსი ჯერ არ დაბადებულია!

დაგ. რა, კიდევ ხო...

გლებ. რასა ბძანებო, შენი ჭირი, ტყავი გავვიძრო.

რაღა, ტყუკი! როგორც მოგეხსენებათ გლეხეცის ამბავი: „ფოპტის“ ფული გვიჭირდა, ჩაფარი კარზე გვადგა: ჩვენც წამოვედით და ი მუშტაძეს მიემართეთ! მაგანაც ფეხი დაგვაჭირა და მანათზე კოდი პური მოგვაწერა, სამ მანათზე—კოკა ტკბილი! ამისთანა ულმერთობა გინახამთ სადმე, შენი ჭიიმე! დაგ. ვიცი რაც კაცია! ფულისთვინ სულს გაჰყიდის!

გლეხეცაცება. ყველას ჯანი გავარდეს! ნეტა დაგვაცადოს მაინცა სანამ სულს მოვიბრუნებდეთ! წრეულ, როგორც მოგეხსენებათ, ვერაფერი მოსავალი იყო, საჭმელი ჭინახულიც არ მოგვივიდა (და ეგ ულმერთო კი სულთამხუთივით თავს დაგვადგა: „მე ჩემი უნდა წავილო, —თქვენ მოსავალ რას ვიკითხამო!“ ახ!.. ან დედამიწა როგორ ითმენს მაგისთანა კაცია! (შემოდის თაგვარაცხადი დამბაძე)

დაგ. (გლეხეცაცებს) ერთი თუ ძმა ხართ, წამოდით აიძევის ჩატანა უშველეთ ჩემ ბიჭებს!

გლეხეცაცება. (ბაბალეს და ლეგანს თავს უკრამენ) მშვიდობითა ბძანდებოდეთ!

### გამოსვლა მემჭვე

ბაბალე, ლეგან და გოწა

ბაბ. აა კოწია, ბიძაშვილი მოგივიდა, კოწია!

ლეგ. А..ა Коціа, князь Коція! Вашему сіятельству наше вамъ почтеніе!

გოწა. აა ლევან, კნიაზ ლევან! Ваше „сіятельство“ როგორა ბძანდები?

ბაბ. აბა, კოშია, შენ იცი და შენმა ბიძაშვილმა! აბა ქეითი გასწიეთ, ბურნუთი მოსწიეთ! გოგოა ასა  
ჭოჭ. აბა ძალო, ლევანის „ჩესტში“ ერთი სამკუ-  
კიანი მოშველიპე რაღა! ერთი ქერში ქუდი ვკრათ, კნია-  
ზურათ, ქართველურათ!..

ლევ. ქუთიმъ братецъ, кутимъ!

ბაბ. ახეთი სადილი მოგიმზადოთ, რო თითები და-  
იკვნიტოთ! თქვენ სანამ აქ იჭუკჭუკეთ! (გადის)

ჭოჭ. რა, კიდევ გიზაკუსნია? (გრძელ)

ლევ. Ну-ка, Коціа выпьемъ! Князъ, за ваше  
здравовье! (მართვა გამომავალის მიზანით)

ჭოჭ. კნიაზ ლევან, „ვა ვაშე ვა здравовье!“ ძლივს,  
ბიჭო, იხევ ერთათ არა ვართ! შენ ეს მითხარ, როდემ-  
დინა ხარ დათხოვნილი?

ლევ. Какой „დათხოვნილი“! — Я самъ вышелъ  
въ отставку!

ჭოჭ. პენციათ რამდონი დაგინიშნეს, კნიაზო?.. აი  
შე მასხარავ, გამოგაგდეს განა?

ლევ. პმ! „გამომაგდეს!“ Ахъ ты дуракъ!

ჭოჭ. Самъ ты дуракъ! რა ძიებ იტკიცე, პირვე-  
ლი „ნუმრა“ ხომ არ არი! მე და შენ არ იყო რო...  
(იცინის) გახსომს, ლევან, ერთხელ გემნაზიაში რა დიდი  
სკანდალი მოვახდინეთ?

ლევ. Какъ не помню! ლათინურის უчитель-მა-  
რთ единица დაგვისვა და...

ჭოჭ. მერე, მე, შენა და ილიკო ლაქონიძემ, რო  
ერთ ილაგას ჩავიგდეთ ის უჩიტელი და დღე, გაუმწა-  
რეთ!.. ხა, ხა, ხა!

ლევ. ხა, ხა, ხა!.. როგორ ტიროდა გახსომს: „უ მე-

ня жена, у меня дѣти,—пустите пожалуйста!“ Эхъ, какъ весело было тогда чортъ возвѣши!

კოშ. ეხლაც, ხო იქ პოლკში არავისა სცემდე?

ლევ. ერთს ასეთი მივარტყი, რო თავის დღეში არ დავიწყდება!

კოშ. კარგი გიქნია, რო გამოსულხარ!

ლევ. Неправда, Коціа?

კოშ. „Канешна“ правда!

ლევ. (ნიკაზე თითხ ამოჟკრამს კოშიას) „Эй, ты, свинтусъ!—Какъ похорошѣлъ!

კოშ. უებ რაღა გიჭირს, უებც ლამაზი ხარ!

ლევ. Слушай Коціა: წვერ რათ იპარხამ, отчего вотъ такъ не отпускаешьъ? (თავის წვერზე უჩენების) Теперь „буланже“ страшно въ модѣ?

კოშ. ჩქაურ გოგოებს ესეც მოვეწონებ: ! აქ რა „ბულანჯე“ მინდა? იმ როცა ქალაქში ვარ, „თოღა...“

ლევ. ხშირათ მიდიხარ ხოლმე ქალაქს?

კოშ. უკველ ზამთარს! ზაფხულში კი აქა ვარ.

ლევ. Слушай, Коціа, въ Тифлисѣ хорошо проводятъ времѧ?

კოშ. Еще какъ! თღონდ ფული იუვეს თორე, გა გიხარიან...

ლევ. იმ მამაჩემი ფულს ისეხხამს და მახნემъ тудა!

კოშ. (გაცოცხლება) ხუხ, ლევან, სიცოცხლეც ქალაქში და სიკვდილიცა! „ტილიპურასთან“, ან „პურ ლევინოში“, სადილი, ბალებში ქერფი „აკტოიცებთან“...

ლევ. Постой, Коціа! ჯერ დავაწყოთ, რა და რო კიუიდოთ იმ ფულებით: сперва, უნდა უვიკერთ ერთი ხუთი ხელი, სხვა-და-სხვა ფერი ჩერქესია და ახალ უხი...

კოშ. „Канешна“ უნდა უეიკერო!

ლეგ. Знаешь какъ: бѣлый, шелковый архалухъ...

ქოშ. Да, знаю ჩერქესკა! ეგენები, ძმაო, მე მკიოხე! ფული იყვეს თორე, გაგიხარიან ჩაცვა-დახურვაში არა-ვინ მაჯობებს!

ლეგ. Да, потомъ ერთი ორი ლაკიროვანი ჩექმე-ბი, ქავარ-ხანჯალი съ серебряной насѣчкой, ორი ში-ნელი: ერთი ზამთრისა, бобровый, და ერთიც ზაფხუ-ლისა...

ქოშ. კარგი და მაგას ხო ორასი თუმანიც არ ეყოფა...

ლეგ. თუ არ ეყოფა, მამულს ვერ დავაგირავებ! Знаешь, Коціა, ჩვენი „იმენია“ რო დვორიანსკი ბან-კში დავაგირავო, რამდენ ფულ გამოვიტან!

ქოშ. რაღა „იმენია“ გაქვთ ძმაო: ე ტყე ხო კი დეც დაგირავებულია, ე მეტი წილი მიწებიც ი არტემას დარჩა თავი ვალში, ე...

ლეგ. ვინ არტემაა? ქოშ. მაშ, როგორც გეტუბა, შენ ჯერ არაფერი იკი! — ამას წინაზე რო მამაშენმა ი ხომეხისაგან ფული ისესხა, გახსომს?

ლეგ. მერე?

ქოშ. იმასაც ისუნდოდა! სარგებელი სარგებელზე იანგარიშა და...

ლეგ. (მუშტის ქნევათ) Ахъ, онъ проклятый! ერ-თი საღმე ჩამივარდეს ხელში! — Я ему задамъ!

ქოშ. მამაშენი არ იყვეს! — რამდენჯერ დავაპირე იმი ცემა, მაგრამ ეხ! მაინც კი სამჯერ-ოთხჯერ ლალები მოვტაცე! იმან კი არაფერი დაჲკარგე ნუ გეშინიან, — სუ გლეხკაცებისგან აინაზლაურა!.. ისე რო ეხლა თქვენ

ვენახების მეტი და ერთი ოცი დღის მიწისა, აღარაფერი გაქვთ!

ლევ. Ну все равно, მაგას დავაგირავებ და ჩავალ ქალაქში!

კოშ. აბა ლევან, შენ იცი და შენმა კაცობამა, ბანკიდან რო ფული გამოიტანო მე კი არ დამივიწყო! მეც გამოგადგები: საქეიფო ალაგებ გასწავლი!

ლევ. А ты? მერე შენ კი აღარ დააგირავებ? На что тебе, дуракъ, имѣніе, заложи и живи по княжески!

კოშ. რა შავი ქვა უნდა დავაგირავო? რაც იყო და არ იყო, სუ მამაჩემმა მიაგირ-მოაგირავა!

ლევ. Ну что ты говоришь! მერე შენ კი არა დაგინარჩუნა-რა?

კოშ. ეგა თქვი და! მერე ვე-კი ცხოვრება არ მინდოდა?

ლევ. Конечно гоნдოდა! Ничего, როცა მე დავაგირავებ повезу тебя въ городъ и такъ будемъ шиковатъ что! Все на шинахъ будемъ ёздить! Слушай, Копіა, въ Тифлисъ много хорошенъкихъ барышень или женшинъ?

კოშ. Ухъ, еще какъ! ახეთი დართული სომხის ქალები...

ლევ. Ну ихъ къ чорту!

კოშ. ხო, დიალ! ახლა ზოგი იმათი პატრონების ჯიბეებიც ნახე! შენ და ჩემ გახრიკნილ ჯიბეებს კი არა ჰგავს?

ლევ. შენ გვონია, რო სომხების მეტს აღარავისა აქვს ფული? აბა ახლა წილი რუსეთში და ნახე რა მდიდრები არიან!

ქოწ. მდიდრები ყველგან არიან, მე იმას ვამბობ რაც ახლოა!

ლევ. რა ახლო! იცი, შე დურაკო, რუსეთში რა ძვირია კნიაზობა! ეხლა მე და შენ რო იქ ვიყვეთ, კი 200 тысячъ-ხაც ავიღებთ! ჩეტე, იქ ძიენ ძვირია კნიაზობა!

### გამოსვლა მემვიდე

#### იგინიგე და დავითი

დავ. (შეიღს) იქაც გაიეფებულა, შვილო! ეგ ერთი კნიაზობის მეტი ხო აღარა შეგრჩნიათ!.. ერთი მითხარით, თუ რის მაქანები ხართ? — ორთავე უსწავლელები და...

ქოწ. უსწავლელები რათ ვიქნებით, ბიძა ჩემო! ჩვენ ჩვენი სამყოფი სწავლა გვაქვს! რა კი „დეპლომი“ არა გვაქვს, იმიტომა ვართ უსწავლელები?

დავ. რათ გინდათ, შვილო, „დეპლომი“! თქვენი „დეპლომი“ ქამარ-ხანჯალია!

ლევ. ჩვენ კნიაზობაც გვეყოფა, — სწავლა რათ გვინდა! ვინც გლეხის შვილია — იმან ისწავლოს! Неправда კოცა?

დავ. ცარიელი კნიაზობა, გინდ შესვით, გინდ შეჭამეთ, ვერას გიშველით! „ათასათ გვარი დაფასდა, ათიათასათ ზღილობა, თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა!“ ღმერთმა აცხონოს ამის დამწერი! ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ თქვენისთანა სულელები კი ვერ გამოლია ჭკვიანაზე!



დავ. კაცო, „ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეჰქედამსო“! შენში ღმერთი, რჯული, ხატი არ არი? ნათელ-მირონი არ გაცხია? თუ ამ ქვეყნით არ გეშინიან, იმ ქვეყნით მაინც არა? სულისთვინ აღარასა ზრუნამ? წაწყმენდისა არ გეშინიან?

დავანე. ჩემშე ხშირათ ერთი კაცი-კი დადის წილვა-ლოცვაზე? სხვები სოვორებიან, მე ღმერთს თაყვანსა ვცემ! რამდენიც საყდარში შევდივარ, ორი და სამი შაურისა რო კელეპტარი არ მივართვა ხატებსა, ვენაცვალე იმათ მადლნა და სახელსა, არ შემიძლიან!

დავ. ხო, ეგ ბევრს გიშველის!—კარგი და რამდონ მომცემ იმ ვენახში? დაიგირავბ თუ არა?

დავანე. ჯერ კიდევ ვიფიქროთ კნიაზო!.. ვნახოთ, სარფას მომცემს თუ არა! მე ხო ისეთ საქმეს ვერ დავი-ჭერ, რო ხელი დამეწვას!.. ერთი ი თივა მიჩვენე!.. (იქმთ) მე ამას კაი „შტუკას“ ვუზამ! თუ ის ორას თუმნიანი ვე-ნახი ოხრათ არ ჩავიგდე ხელში, მაში კაცი არ ვიქნები (გადიან)

### ვ ა რ დ ა

მის თავისი სახე და სახელი მარტინ გერებე-  
ლი და მის მეური და მის მეური — სამარტინო  
ერთეული სახელი და სახელი მარტინ გერებე-  
ლი და მის მეური და მის მეური — სამარტინო

— სამარტინო არცამ თავი და სახელი მარტინ გერებე-  
ლი და მის მეური და მის მეური — სამარტინო და დე-  
დოს მარტინ გერებელი და მის მეური და მის მეური — სამარტინო

## მოქმედება მეორე

მეორე მოქმედება (აქვსი თვის შემდეგ) სწაობებს არტემა შარბათოვის სასტუმრო ოთახში: იატაკი დაფენილია ხალიჩით, შეს პედელფონის სდგას დივანი, დივნის წინ სდგას რგვალი მაგიდა, ორმეზული გადაფარებულია ჭრელი ხავერდის სუვა. მაგიდის გარშემო სდგას რამდენიმე საფარელი. დივნის ზე-მთა ჭყიდია სარკე. ორიოდე ჩალის სკამი და რამდენიმე სურათი პედლებზე. სცენას აქვს ორი კარი და ორი ფანჯარა. მარჯვენა კარები გადის დანარჩენ თახებში, მარცხენა — დერუფანში. ფანჯრებს აქვს გრძელი ფარდები (ზანავესები). სცენაზე არაა: არტემა შარბათოვი და მისი მოუფარე ბაგრატია.

## გამოსვლა პირველი

### არტემა და ბაგრატა

არტემა. ეხლა მოგება, ჩემო ბაგრატ, ისევ აღებ-მიცემობაშია: თუ გინდა, რო ერთი ორი გროში იშოვო, იეფათ იყიდე და ძვირად გაჰყიდე. ნ.ხევარ ფასათ ჭინახული დაიკვეთე თავადებისგან...

ბაგრატია. მერე წრეულ რა მაზანდაა ჭინახულისა და! უხ, უხ, უხ! ნულარას მეტყვი რაღა!

არტ. შენ პირ შაქარი! სამოცი ვაგონი ქერი და პური ჯერ ისევ გასაყიდი მაქვე!

ბაგრ. მე კი ძაან თავი ქვას ვახალე, მე და ჩემმა ღმერთმა, რო ისე აღრე გავყიდე! ერთი ორი კვირა რო კიდევ დამეტადა, ტყუილათ იმ ოც თუმან არ დავკარ-

გამდი! კაცო, რა მომაგონებდა, თუ ესე ძიებ აიწევდა ფასში ჭინახული!

არტ. მერე რა დაკარგე: ის ფული ხო ისევ გაეც სულ „ვსერავნო“ არ არის?

ბაგ. რათა, კაცო, „ვსერავნო“ რათ იქნება? შენ ოც თუმან როგორ ეხუმრები: ოცი თუმანი კი არ არი „ჩაზნიცა“, კაი ოცდა-ათი თუმანია! აბა გამოიანგარიშე თუ არა?

არტ. ხო, თავის სარგებლით, წლის თავზე ეგრე იზამს. მაგრამ თავნიდან ხო არ დაგიკარგამსრა. ეხ, ჩემი ბაგრატ, მა როგორ იქნება: ვაჭარი კაცი ხან მეტ მოიგებს, ხან ნაკლებსა!

ბაგრ. არა, კაცო, მე ჩემ სისულეელსა ვჩივი და! რა მენაღვლებოდა, ერთი ორი კვირა კიდევ დამეტადა!

არტ. ახლა, შე მამაცხონებულო, რა ვიცით თუ ერთ ორ კვირის შემდეგ რა მოხდება? იქნება სულაც დაიწიოს ფასში! შენ ეხლა, ერთბაშათ ასეთი ბედი მოგაწვა რო...

ბაგრ. (დაარღვევები) რა ბედი?

არტ. ბიჭო! „რა ბედიო!“ მაშ ეგ ბედი არ არი, რო ოთხას თუმანში ათასხუთას თუმნიანი მამულები ჩაიგდე?!

ბაგრ. ხო, იმაზე ამბობ, რო ეხლა ი თავადიშვილის მამულები დავინარჩუნე ტორგიდან? მერე, ასი თუმანიც რომ მოცილავეებს დაუურიგე ის არაფერია? იქ ოცი თუმანი ჩაუდე ხელში, იქ ოცდაათი, იქ ორმოცი: ოლონც-კი მაშორდით აქედანა და მე დამანებეთ მეთ-ჭი ეს მამული? რა, ასი თუმანი-კი ხიხია?

არტ. ასი თუმანი კი არა, ოთხასიც რო დაგეთვალია, კიდევაც ცოტაა! რას ამბობ, კაცო, ის მამული სუ

რო ცოტა ჩაგდო, სუ რო ცოტა, რატო კაი ათასხუ-  
თასი ნაღდი-კაკალი თუმანი არა ლირსი ერთბაშათ, მუ-  
შტარი გამოჩნდება, — კაი ორიათასსაც აპკრამ!

ბაგრ. შენა, შენ კი ძან ხელი დაიწვი, მე შენ გი-  
თხრა, ი კნიაზ დავით ლამბაძის მამულებში რა გი-  
კირს! — ორას თუმანში, რყაას თუმნიანი მამულები ჩა-  
გდე და ქეიფობ!

არტ. ხო, მაგაზე მომაგონდა! იცი რა, ბაგრატ, იცი  
რა გაცინო? — ეს ორი სამი დღეა, ი კნიაზ ლამბაძიაან-  
დებან მომდის და მომდის მავანკლები თუ: „შენი ქალი  
მოგვწონს და მოგვარ ხოვეო!“ მითომ რა არი: ჩვენი მი-  
წები დაგვაძრუნეო! რა სულელი მნახეს!

ბაგრ. განა, კნიაზ დავითს საცოლო შვილიცა ჰყავს?

არტ. როგორ არა, ერთი უსწავლელი, უხეირო  
შვილი ჰყავს! — აქამდინ ხემწიფის სამსახურში იყო, შარ-  
შან სამსახურიდან გამოსულა, ეხლა ჩერქესკა და ში-  
ნელი ჩაუცვამს და აქ დევეტიალება!

ბაგრ. თავადიშვილის საქმე ეგ არი, მარა! მერე,  
შენ რაღა შეუთვალე?

არტ. თუ ჩემი ნებით იქნება, გავიხარიან, არტემა-  
უსწავლელ თავადიშვილს ქალს არ მისცემს, ისიც ქარ-  
თველს!

ბაგრ. მა ვის ნებით არი, კაცო, ქალის გათხოვება,  
თუ არ შენითა?

არტ. მგონი შენ ჯერ ფარგა ვერ იცნობ ჩემ სუ-  
ლელ ცოლსა! უკაცრავათ კი შენთან, — შენი დაა!

ბაგრ. შენ თუ არ მითხარ, მე კი არ ვიცი რაც ჭიუ-  
ის კოლოფია ისა!

არტ. კაცო, აუხირებია: „მაშო ავილოთ და მივ-  
ცეთო!“ გიშია?

ბაგრ. გიურ და აგრე!.. მერე მაშო რაღას ამბობს?  
არც. აბა ის იყლამს ი ცეტ კნიაზისთვინ თავსა,  
თორე ჩემ ცოლს რა უჭირს! — „თუ იმ კნიაზს არ მიმა-  
თხოვებთ, თავ მოვიკლომო!“

ბაგრ. განა მაშოც იცნობს კნიაზ დავითის შვილსა?  
არც. რას არ გაიცნობდა კაცო; ი ჩემი პატიოსა-  
ნი ცოლი წამ და უწუმ კლუბებში და „სობრანიეში“  
დაწილებს თავისს ჰქვიან ქალსა! თავადებიც ხო იქ იყ-  
რებიან ლეკურის ეგზამენის დასაჭრათა და ი დავით  
ლამბაძის შვილსაც იქ გაიცნობდა!

ბაგრ. ნეტაი შენ საქმე გამოგწყვეტია, რო კლუ-  
ბებში და „სობრანიეში“ ფულებ ჰხარჯამ! გადასაყრე-  
ლი ფულები მექნება, რო ჩემი ცოლ-შვილი იქ გავ-  
გზავნო!

არც. ეხლიანდელი ცოლ-შვილი სწორეთ შენა გვი-  
თხამს აი! ის დრო წავიდა, ჩემო ბაგრატ, როცა ქრმე-  
ბის შიშით, ცოლები კრინტს ვერა სძრამდნენ!

ბაგრ. ე მანდ მართლა არ გადაირიო და ქალი ქარ-  
თველს არ მისცე! ვინ გიური-ოხერი მისცემს გაკოტრე-  
ბულ კნიაზს ქალსი!

არც. შენ ეგა თქვი და! ქალი მივცე, თანაც ფუ-  
ლი და ისიც ქართველს?! მერე, ერთი ორი თვის შემ-  
დეგ, როცა ფულები შეუქამოს, ქალი უკანვე მომიგდოს!

ბაგრ. თავადიშვილს რო თავი ქონების შენახვის  
შნო რა აქვს, აბა სხვის სარჩოს უფრო რას გაუფთ-  
ხილდება!

არც. კაცო, დაუკირნია: „გინდა თუ არა კნეინა  
უნდა გავხდეო!“

ბაგრ. შე მამაცხონებულო, უთუოთ კნეინა რო არ  
იყვე, ჩვენისთანა კაცის შვილი კი არ გეკალრება თქო?

ოლონც ნასწავლი-კი იყვეს! შენც აიღე და ან ინჯილერ  
მიე, ან დოხტურ, ან ადვაკანტი!

არტ. თუ დამაცალეს, მე ვიცი და, თუ არა...

ბაგრ. განა ეგენებიც დაიწყო ი შენმა ქალმა, ჯერ  
ალაგესარ ასცილებია?

არტ. იი ჩემი ცოდო ედოს იმასა, ვინც ქალის  
სწავლა შემოიღო! კაცო, რაკი ერთი „ბაი-ბუის“ არ  
ისწავლიან ე ჩვენი ქალები, აღარც მამის ჭეუას დაგი-  
დევენ და აღარც ხალხისა!

ბაგრ. შენ ერთი ორიოდე წაურტყი იმასა და მწყრე-  
ბი დაუფრთხებე! ჩემ ქალს, როგორ შეუძლიან, რო ჩემ  
წინ ხმა ამოიღოს! იმან რო ერთი სათოკეც აირჩიოს,  
განა მეც გავბრიყვდები და ფულებ გადავყრი!

არტ. ერთი სიტყვით, აღარ ვიცი, ღმერთმანი, თუ  
რა ვქნა! ეს ორი დღეა, აღარც ქალისაგანა მაქვს მოხ-  
ვენება და აღარც ცოლისაგანა!

ბაგრ. შენ ე მანდ შენთვინ იყავ! ი ჩემ სულელ  
დას ასე უთხარ ჩემს მაგივრათ — არამც და არამც კრინ-  
ტი აღარ დასძრა ი კნიაზზე თქო! (წამოდგება)

არტ. მოიცა, კაცო, სად მიეჩარები? მოდი, ბაგრატ,  
და დღეს სადილათ ჩემთან დარჩი! ასეთ ჩანივრულ არ-  
ტალის გაჭმევ, რო თითები დაიკვნიტო!

ბაგრ. შენი არტალა რათ მინდა, მშაო, ასეთი ხაში  
მიდგია შინა, რო ლუკმა მანათათა ღირს! ვინც იმას არა  
სჭამს, ან დღე მოკვდება, ან ღამე!

არტ. მოიცა, ცოტა ხან მაინც იყავ! დღეს ხო კვი-  
რაა და ვიცი საქმე არა გაქვს!

ბაგრ. არა, მეჩარება! ექ ერთ კაცს ჩემი ფული  
ჰმართებს და უნდა ვექსილი გამოვუცვალო!

არტ. მართლა, ეხლა რო ასი თუმცნი გაეც, სარ-  
გებელ როგორ გაურიგდო?

ბაგრ რა იყო? „ნეუსტოიკებით“, აქეთ, იქით,  
სულ ათი შაური მოდის რაღა!

ადგ.). ბიჭოს, ეგ კაი სარგებელია! ეგ კაი მეხი და-  
გცემია!

ბაგრ. ეხლა, კაცო, ყველგან ფულის ქეთატობა! შეგხვდება გაჭირებული კაცი, მეტსაც გამოიმეტებს! მშვიდობით! (გადის) 1-იანვარი 1889

თორემა. (მარტო, ანგარიშობს შეთტკზე) წრეულ, სურო ცოტა, კაი ხუთას თუმან მოვებას ვიქნები! მერმის, ეგ ხუთასი თუმანი ათასათ იქცევა! — ფული ფულს იგებს! ბანკში შევიტანო? — სარფა არ არი! ისევ წერილ-წვრილათ გასცე, ფოდრათები აიღო, თავადებისგან ჭინახული დაიკვეთო, მამულების „ტორგში“ მოიხმარო... აა ხეირი, მე და ჩემმა ღმყრთმა, ეგ არი!.. დასწყევლოს, ღმერთმა, ჩვენი ცხოვრება რა არი! ემ ოცდაათი წლის წინათ, ლუკმა მენატრებოდა: ეხლა, ღვთის მაღლით, სახლიცა მაქვს, კარიცა და ფულიც! შვილებიც თავიანთ გზაზე დავაყენე: ერთი ინჯილერი გამომდის, ერთი დოხტორი და და ერთიც ადვაკანტი! ახლა ისინი შემომიტანენ სახლში ოროლ ათას თუმანსა და გაიჩისტება საქმე!

## გამოსვლა მეორე

## ଶରୀରମ୍ବା ଓ ଶୈଖରଣ

სოფია. რას სჩადი, კაცო, ძძლევ თუ არა ქალა  
იმ კნიზეა? დილახაც იყო მაჭანკალი!

არტ. თუ გინდა საღამოზედაც მოვიდეს, მე რა?  
სოფ. მაშ არ მისცემ ქალსა ი თავადიშვილსა, დიდ  
გვარისა და ნათესავების პატრიონს?

არტ. იქით წაიღე ეს შენი თავადიშვილობაც, გვა  
რიშვილობაც და ნათესავობაც! თავადიშვილობა რას მი-  
ჰვიან? ეხლა თავადობაც ფულია...

სოფ. რა გამიხდა შენი ცარიელი ფული! თვალზე  
მიიკარ ეგ ფული! რათ მინდა შენი ფული, თუ რიგიან  
ხალხში გამოწყვეტილი ვიქნები! ფული მაშინ არი კარ-  
გი, როცა დიდყაცებში ხარ გარეული! ათასი რო თქვა,  
ათასი, მაინც ჩემი მაშო იმ კნიაზს უნდა მივცე!

არტ. მაშ შენ ნებაზე ყოფილა რაღა!

სოფ. ჩემ ნებაზედაც არი და ქალისაცა! შენ ქალს  
კნიაზ დავითის შვილი მოსწონს...

არტ. თავი დამანებეთ შენცა და ი შენმა ქალმაცა,  
თორე მამა ჩემი არ წარცეს...

სოფ. შენ მართლა ბევრი ლაპარაკი გამოვდის! მა!  
ვის უნდა მისცე ქალი, შენისთანა „ფოლრაჩიქა“?

არტ. ჩემისთანა კი არა, მუშას რო მივცე, აი უკა-  
ნასკნელ მუშასა, ის მიჩევნიან ი შენ თავიდიშვილსა  
ქალი მივცე, თანაც ფული...

სოფ. რას დაგიერინია ე ფული! ფულ ნუ მისცემ  
იხლა! ე თავიანთი მიწები დაუბრუნე და...

არტ. მერე მიწები კი ფული არ არი, შე სულე-  
ლო? შექამოს მიწები და მერე ისევ მე მომაღება? არა,  
არტემა ჯერ ეგრე არ გაგიუებულა!

სოფ. არა, ერთი მითხარ, თუ შენ რა გესაქმება,  
როცა შენ ქალს მოსწონს და უყვარს?

არტ. „უყვარსონ“? როგორ თუ უყვარს?! განა  
თვრამეტი წლის გოგომ სიყვარულიც უნდა იცოდეს!“

ერთი აქ დამიძინებე იხა!.. „კვიცი იყიდე და დედა უკი-  
თხეო!“ — აბა შენი ქალი ჭივიანი რათ იქნება!

სოფ. შენ კი ძაან ჭივიანი ხარ, მე შენ გითხარ,  
ვდღარაში ჩავიტევია ეზ ჭკუა!

არტ. ახა, ლიდება შენთვი ლმერთოა რა გინდა, დე-  
დაცაცო, რა გინდა შე ოჯახ-ქორო?!

სოფ. ის მინდა, რო ჩემი მაშო კნეინებში უნდა  
ჩავრიო!

არტ. აი გაგაგიუოს ჩემმა გამჩენმა! ერთი მითხარ,  
თუ რა თავში სახლელათ გინდა ე კნეინობა?

სოფ. როგორ თუ რა თავში სახლელათ მინდა! მაშ  
ის არავერია, რო ჩვენც რივიან ხალხში გავერევით,  
ჩვენც გამოვჩნდებით სალმე? ამოდენა ძეწკვი, ბეჭდები,  
ბრასლეტები, ტანისამოსი, მაშ სად უნდა გამოვაჩინო,  
თუ არ დიდკაცებში? მარტო ის რათა ლირს, რო მცენს  
თვალები დაუბრმავდება სიშურით!

არტ. აი დედა, კაცის ჭკუა! მოლით და ამ სულელს  
ელაპარაკეთ! რა გასაჩენები იყვნენ ლელაკაცები, გასწყ-  
დეს მათი სახელი!

სოფ. ისევ კაცების სახელი გაწყდეს აზირა!

არტ. შენისთანა სულელი „აშტრახანში“ არ გა-  
მოვა რაღა, „აშტრახანში“!

სოფ. ტყუილათ თავს იწყენ, ჩემო არცემ! ჩვენი  
მაშო რო თავდიშვილის წერაა, მანდ ექვი არ არი:  
სურფ-სარქისს რო მარილ-კვერი ვაჭამე, სწორეთ ეგ კნი-  
აზი ენახა!

არტ. გიუია!? კაცი დავბერებულვარ და ჯერ ჩემ  
თვალს ამისთანა თავცარიელი არ უნხამს! დედაცაცო,  
რა გინდა, რატო არ მომასვენებ? ეს ორი დღე რა ეშ-  
მაკავიო მომჩერებიხარ! ჩაფარი ხო არა ხარ შე ოჯახ-

დაქცეულო! ქალი ჩემია, არ მინდა და არ მივცემ ი ცეტ  
კნიაზსა, ახლა?!

სოფ. შენ რო არ მისცემ, მე მივცემ! მაშ ამ ცხვირ  
მოვიკრი, თუ ჩვენი ქალი კნეინა არ გავხადე! ჩემი თა-  
ვიც მეყოფა დაბალთაგანი! მეც მივქარე, რო უბრალო  
„ფლიდრაჩიკი“ შეგირთე! ასი თუმნით რომელ კნიაზ-  
ზელაც მინდოდა — გავთხოვდებოდი!

არტ. აი შევ და უკულმა ის დღე და საათი, როცემ  
დესაც შენ გადაგევიდე!

სოფ. ამინ, ამინ, როდესაც მე შენ მოგთხოვდი!

არტ. მე უფრო გიფი ვარ, რო შენ გელაპარაკები!

(გადის)

სოფ. აბა ვნახოთ ვინ აჯობებს: შენა თუ მე? აბა ვნახოთ! არა, ძიელაც რო თავს იდებს! ერთი მი-  
ბძანეთ, თუ რო დასაწუნი სასიძოა: ლამაზი და ამ დრო-  
ების ვაჟა; იმ დღეს კლუბში მთელი ხალხი გააგიფა თა-  
ვის ლეკურითა, კინ ტოურითა და ტანციობითა! დიდი  
გვარისა და ნათესაობის პატრონი: კნეინა აბილაურისა, კნეინა  
ლაკონიძისა და კნეინა ჯანსურაძისა, სუ იმი ძა-  
ლუაები არიან! ახლა რათა ღირს, რო ჩვენც იმათში ჩა-  
ვერვით! ახლა რათა ღირს, რო ჩვენც ისინი ხელს ჩა-  
მოგვარომევენ, გაგვიცინებენ, გვერდზე მოკვისვამენ და  
„მძახლოთ“ მოგვიხსენიებენ!.. სახით — ლამაზი. და მშვე-  
ნიერი, ასე გგონია კალმით ნახატიაო, ტანი ალვისეს  
უგავს! ესა ვსოჭვათ, რო შეძლება არა აქვს! მერე რო  
უყოთ, რო არა აქვს: შეძლება რო პერნლეს, ხო შენ  
ქალისაც არ იყადრებს! არა, რო მოკვედეს, მაინც ჩემ მა-  
შოს იმ კნიაზს არ ავაცდენ! არა, არა და არა! მე სო-  
ფიო მქვიან!

## გამოსვლა მესამე

**სოფია და მარია**

ମାତ୍ରାକୁ କେବଳ ଏକ ପଦିକାରୀ ହେଲା ନାହିଁ ।

სოფ. დავიკოლიე კი არა, ის არ გინდა! განა მა-  
შიშენს კაცი დაკიკოლიებს! ეგ აღამიანი კი არ არი, —  
ქვაა, კლდეა!

მაშო. ახლა კი მე ვიცი! რახან თავი ნებით არ მა-  
ძლევს, გავიპარები და ჩუმათ დავიწერ ჯვარსა!

სოფ. უი დამიღეს თვალები ქა! ეგ რა თქვი, გოგო  
ძაშვ. ის დრო წავიდა, როცა მამის ნებით იყო  
ქალის გათხოება! ეხლა ის დრო მლარა გახლოვს! ეხლა  
ქვეყანა განათლდა,—ვისაც ქალი შეიყვარებს, იმას უნ-  
და გაჰყვეს!

თუ სოდე. განა გასათხოვარმა ქალმა ეგ სიტყვები პი-  
რიდან უნდა ამოუშვას?

მაშო. ურჩევნიან, თავის ნებით მიმკეს იმ კნიაზსა, თორე იკოდეთ, რო მე თავს აღარ ვიკოცხლებ!

სოფ. ახ, რა სულელი რამა ხარ, გოგო! მაშა. გოგოს ნუ მედახი მეტეი, რამტელჯერ უნდა გითხრა!.. აბა თუ მე თავი არ მოვიკლა და ნახეთ! თუ მი წყალში თავი არ თავიხრჩო და...

სლუ. ემანდ ხმა ჩაწყვიტე, რას მიედ-მოედები!

ମାତ୍ରା. (ବ୍ରଜ ପିଠାଇଲାଇ) ତାଙ୍କ...ନ୍ତି, ହାଥିଲା...ନ୍ତିଏ...ଅଧିକ...  
ଗ...ଗ ହା...ଏ ତାଙ୍କ ହାଥିଲା...ନ୍ତିବେଳିବେଳିବେଳି! ଶବ୍ଦାଭିଲାପନୀ ହେବା...ଅଥ...  
ଶୁ...ଶୁ...ଶୁ!

სოფ. რეგბს მიჰქარამ, კოდო! ე მანდ არავინ გაგო-  
გონოს, სხვანარათ ჩამოგაროთმევენ!

მაშო. რევოლუცია ვიყიდი... და... გულში... დავი... ორტყამი ხმ!.. ხმ!..

სოფ. დამიხედეთ გემნაზია დასრულებულ ქალსა! დამიხედეთ „კურსონიცა“ ქალსა! ადე, ადე ემ წუთში და პირზე წყალი შეისხი, თორემ თვალები დაგიწითლდება! ადე მეთქი, არ გეხმის, გოგო!?

მაშო. (ფეხს დატყაბუნებს და ტირილით) გოგოს ნუ მეძახი მეთქი... ი! ხმ! ხმ!

სოფ. ხო, კარგი, „ბარიშნა“ აბძანდი და პირზე წყალი შეისხი!

მაშო. არც პირზე წყალ შევისხამ და სრულობითაც თავს მოვიკლამ, თუ კნიაზ ლამბაძეს...

სოფ. ხო, შვილო, ხო! აი მაჭანკალს დავიბარებ და მოველაპარაკები!

მაშო. (დიმილით) მართლა მეუბნები, მამაშა, თუ მატყუებ?

სოფ. შენმა გაზღამ, მართლა!

მაშო. აბა დაიფიცე! უ... უ!

სოფ. ახლა მართლაც ი შენი კნიაზისთვინ ხატებს ხო ვერ ჩამოვასვენები ერთი ვთქვი და გავათავე! შენა გგონია, რო მე კი არ მინდა შენი კნეინობა? სანამ პირში სული მიღვია, სანამ იმედს არ დავკარგამ, რო შენ თვალიშვილს მიგცემ!

მაშო. (წამოსტება, ეხვევა დედსა და ჰერცოგის) მამაშა, რა კარგი ხარ, რა დუშკა ხარ, რა მიყვარხარ!

სოფ. (ხელიდან გამოუსხლება) ნელა, შე ცეტო! ლერჩექი ნუ შემომავლიჯე და!

მაშო. მე რო კნეინა გავხდები, მამაშა, ხშირათ დაგპატიუებ ხოლმე!

სოფ. შენი არა მინდა რა, ოლონც ლოტო და რამს—  
ში კნეინა აბილალოთან დამსვი ხოლმე!

მაშთ. მამაში არ მომიკვდება, მამაშა, მარცხნივ კნე-  
ინა ლოკონიძისას მოგისვამ, მარჯვნივ—კნენა აბილაუ-  
რისას და „ვიზავითაც“—კნეინა ჯანსურაძისას!

სოფ. უი შენ კი გენაცვალე, შენა! ერთი წავიდე,  
კიდევ მოველაპირაკო ი მამაშენსა: ეგება როგორმე და-  
ვიყოლიო!

მაშთ. (მარცხ, დადის სცენაზე, სიჩუმეს) თუ მიმცემ  
კნიაზ ლამბაძეს, ხო კარგი, თუ არა და თავს მოვიკლამ!  
რითი სჯობიან სიკვდილი: მტკვარში ჩავარდე?—ნეტъ,  
ნეტъ! ლიცი ისინხევთ! მე მინდა რო კუბოშიაც ინ-  
ტერესნა ვიუვე, როგორც მარია ვეჩორა!.. ჩამოვაბა  
თოვი და თავი ჩამოვიხრჩო? — ი, ეს არა ბლაგორდნა  
სმერთ! თოკზე ახრჩობებ რავბინიკ-ებსა! ისევ რევოლ-  
ვერი უველასა სჯობიან! ვიყიდი რევოლვერ-სა და და-  
ვირტუამ თავში... არა, თავში არა! ლიცი ისკავითსა!  
ისევ გულში სჯობიან!.. მართლა და რო თავი მოვი-  
კლა, რა ამბავი იქნება! უხъ, უხъ! ვიინათ!.. (დაჭრე-  
ბა სკამზე) მე მითომ მკვდარი ვარ და აქედან... (ფერდზე  
ხელს დაიღებს) გადმომდის სისხლი! (გაურევლება) ო...ოხ!..  
უ...უხ! რა სტრაში ცუდი!.. უცდათ შემოდის  
მამაშა და რო დამინახამს მე მკვდარსა, მომვარდება და  
დაიკივლებს: „შვილო, მაშო! შენ გენაცვალოს დედა,  
შვილო!..“ (ცრემლს იწენდეს) მამაშას უვირილზე შემოვა-  
პაპა და ეტყვის: „რა იყო, დედაკაცი, რა დაგემართა?“  
მამაშა პაპას მივარდება: „ეს ხო სუ შენგან მომივიდა,  
სულა!..“ უხ, რა ამბავი და ჩოჩქოლი ჩავარდება! მაში-  
ნვე უველა გაზეთგბუ ჩასწერებ; „Такого-то дня, та-  
кого-то числа, Марья Артемьевна Шарбатова за-

стрѣлилась отъ любви къ князю Ламбадзе!“ ухъ, какъ хорошо, совсѣмъ какъ въ романахъ бываетъ! მეორეც ესა, наконецъ-то ჩემი გვირი და ხახულიც ჩინ-ბეჭდება გაზეთში!.. Нѣтъ, უთუმთ მოვიკლამ თავსა! (ცოტა ხანს დაფიქრდება) ახლა რო თავი მოვიკლა, ხო სუ სამუდამოთ გამოვესალმები ავ სიცოცხლესა! აღარც ვსუნ-თქავ, აღარც თვალებს ავახელ, აღარც ხადილსა ვჰამ, აღარც ყავს დავლევ... სამუდამოთ რაღა, სამუდამო!.. არა, სიკვდილს ისევ გაპარვა და ჩუმათ ჯვრის წერია სჯ-ბიან! აკოშკიდან გადავხტები, იქ კნიაზ ლამბაძეს ცხენე-ბი შზათ დულება და ჰერი! იმ წამხვე „ზაგრანიცაში“ გავ-კრამთ, ვсемірную выставку посѣтимъ! ახლა რომელ „გოსტინიცაში“ აც ჩამოვხტებით, ესე მომიხსენიებენ: Франціა-ში — принцесса, Германія-ში — баронесса, Англія-ში — лэди! ухъ какъ хорошо, прелестъ! Совсѣмъ какъ романническія владѣтельныя особы! განა მე გიმბაზია მისთვის დავასრულე, რო „პრიზინიათ“ გავთხვდე? — Какъ разъ! მე სწორე ისე მოვიქცევი, როგორც Елена въ „Наканунѣ!“ — რამდენიც უნდა უარი სოკვას ჰავამ, მე მაინც ჩემსაც გავიყვან!.. (შემთ-დის ბაჭი)

ბაჭი. „ბარიშნა“, ვილაც კნიაზი გახლავს.

მაშო. კნიაზი? (იქით) იხ, ის იქნება! რაღა თქმა უნდა, ჩემ მოხატაცებლათ მოხული!

ბაჭი. დიალ, ვილაც მოხუცებული კნიაზი გახლავს.

მაშო. (უქმდეთ) მოხუცებულიც მაშ იმი მამა იქნება.

ბაჭი. ჟაზეინსა კითხულობს... (შემთდის სოფია)

მაშო. შეამაშა, კნიაზ ლამბაძის მამა კითხულობს ჰავანა.

**სოფ.** (ბიჭისა) მაშ რაღას გაჩერებულხარ, შე გამოჩერებულო! გაიქი ჩეარა და მოახსენე —,,მობრძანდითქო!“ ხაზენსაც შეატყობინე!.. (ბიჭი გადის) კაი დროს მოვიდა! რაღასა დგეხარ, წადი კაბა გამოიცვალე! მეც წავიდე შუსტაკი ვაძვაკრა! (გადიან)

გამოსვლა მეოთხე

თ. დავით ლამბაძე მარტო

**დავითი.** განა ამ დღესაც მოვესწარ, რო ჩემი ფეხით ვეახელ ამ სომეხსა, ვიღაც შერბათოვსა! განა ამ დღესაც მოვესწარ, რო თავადიშვილი ეხვეწება ვიღაც „ფოდრაჩიკსა!“ ორი დღეა ჩემი ცოლი მაჭანკლებს უგზავნის და დიდ უარზედაც რო დგა!.. ყველა მიყვლიფ-მოყვლიფა, შეიძინა ერთი ორი გროში და დამპალი საყევარივით იქიმება! გაგრამ რა ვქნა: „როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო!“ — ყელამდინ ვალებში ვზივარ, ვენახი ი მუშტაძემ თითქმის მუქრათ წამართვა, ე ტყეცხვალ თუ ზეგ ტორგიდან გამეყიდება... მე ჩემ შვილის-თვინა ვზრუნავ, თორე მე საცა იქნება ერთ ლუკმა პურ შევკამ! მე ჩემ უპედურ შვილსა ვჩივი, თორე მე ჩემი კალ გამილეწნია, — ცალი ფეხი სამარეში მიდგია!

გამოსვლა მეხუთე

იგივე და არტემა შარბათოვა

**დავით.** არტემ პეტრუშიჩს გაუმარჯოს!

**არტ.** კნიაზ დავითს ვახლავს! დაბძანდით, კნიაზ!

დავ. სხვა, როგორ მშვიდობით ბძანდები შენი ცოლ-  
შვილითა?

არტ. გმადლობთ. თქვენ როგორ-ლა ბრძანდებით  
თქვენი კნინითა?

დავ. ვართ რაღა, როგორც შეგვეფერება. ე ჩემ  
შვილს მინდა ცოლი შევრთო.

არტ. კეთილი, კნიაზო! მერე რაღას აგვიანებთ: მე  
შენ გითხრა ლამაზები ვერ არიან ე თავადის ქალები!

დავ. არა, ძმაო, მე ჩემ შვილს თავადის ქალს არ  
შევრთომ!

არტ. რატომ, კნიაზო, რატომ? თავადი შვილმა თა-  
ვადის ქალი უნდა შეირთოს მა რა!

დავ. თავადებმა, ჩემო არტემ, ფულის ყადრი არ  
ვიცით: რაც გვაძედია, სულ ერთ დღეს შევჭამთ ხოლ-  
მე და...

არტ. მგ კი მართალი ბძანებაა, მე და ჩემმა ღმერ-  
თმა, კნიაზო!

დავ. ისევ თქვენა ხერთ, შეილო, ფულის შემნახვე-  
ლიცა და გამფოთხილებელიცა!

არტ. ეხ, მაგას ნუ ბძანებთ, კნიაზო! დარდიმანდი  
და ბედოვლათი ჩვენშიაც ბევრია!

დავ. თქვენში თუ ათასში ერთი გამოვა მაგისთანა,  
ჩვენში ათასში ერთი არ გამოვა ყაირათიანი! აი მაგა-  
ლითათ აიღე ჩვენი მამულ-დედულები: მომეტებული  
წილი დაგირავებულია, ცორგიდან გაყიდული... ეხლა  
პომეტჩიკები ჩვენ კი ოღარა ვართ, ძმაო, თქვენა ხართ!  
მოელი ჩვენი მამულები სუ თქვენ ხელთ არი!

არტ. კნიაზო, ცხოვრება — კიბეა: ზოგი აღის, ზო-  
გი ჩამოდის! განა მარტო სომხების ხელშია თქვენი მა-  
სობ მუხამ ხემ ა და თუ იმა იმა ა

მულები? აბა წალი იმერეთში და ნახე, იქაც სომხები არიან, იქაც ჩვენი ვარო?

დაგ. მაგას თავი დავანებოთ,—მე იმიტომ მინდა ჩემი შეილისთვინ სომხის ქალი...

არტ. (დაარღვევს) სომხის ქალი რათ გინდათ, კნიაზო! ისევ თქვენი რჯულის ქალი რო მოსედნოთ, და-მერწმუნეთ, ის გირჩევნიანო!

დაგ. არას დროსაც! ქართველი, თავის ბუნებით, ბედოვლათია, სომები კი ყაირათიანი. ახლა შენ წარმო-იდგინე, რო ორთავ ბედოვლათები შეჰყარე, თუ გინდა მილიონების პატრონი გაჰსადე, მაინც ერთი წლის შემდეგ იმ მილიონებიდან კაპიკაც აღარ შერჩებათ! ყაირათი კი, როცა ბედოვლათობას შეჰსედება...

არტ. უკაცრავათ კი, კნიაზო, სიტყვა გაგაშვებინე, მაგრამ ჩემის აზრით, როცა დაბალთაგანი და დიდი კა-ცი შეიყრებიან, იშვითათ იმათში სიამოვნება დიდ ხანს გასტანს!

დაგ. ეხ, ჩემო ძმაო! დიდყაცობა საღლაა ეხლა! ეხ-ლა დიდყაცობაც ფულია და...

არტ. მართალი ბძანებაა, მაგრამ...

დაგ. (დაარღვევს) ესეც კი იცოდე ჩემგან, არტემ ჰეტრუსიჩ, რო როგორც ხარისხი არ ვარგა უფულოთ, ისე ფული—უხარისხოთ! მომითმინე... ეხლა, შენ ჩემი დიდი ხნის ნაცნობი და მეგობარი ხარ და დამერწმუნე, რო კიდევ მიყვარხარ და პატივის ცემაცა მაქვს შენი!

არტ. მაღლობთ, კნიაზო; მეც თქვენი სიყვარული და პატივის ცემა...

დაგ. ხო და მაშ რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, აიღე ე შენი ქალი და ე ჩემ შეილს მიე!

არტ. კნიაზო... (შემთდის სოფია. არტემი იქით) ახ-  
ლა წახდა ჩოჩეთი აი!

დამოსვლა მაქვსეს სიცი ას და მარტინ ადგინდი ას და  
დამოსვლა მაქვსეს სიცი ას და მარტინ ადგინდი ას

### იგინივე და სოფია

სოფია. კნიაზ დავითს თავს დავუკრამ!

დავ. ოს, სოფიოს ვახლავარ! როგორ მშვიდობითა-  
ბძანდებით?

სოფ. მაღლობთ. თქვენ როგორდა ბძანდებით თქვე-  
ნი ცოლ-შვილითა?

დავ. არა გვიჭირს რა; კნეინა ბაბალემ მოკითხვა-  
მოგახსენათ.

სოფ. მაღლობთ, ჩემს მაგივრათაც გადაეცით. და-  
ბძანდით, კნიაზო, რისგან არი, რო მოგვიგონეთ?

დავ. მე არა დროს არ დამვიწყებიხართ! (სიჩუმე) მაშ-  
არტემ პეტრუსიჩ, რას იტყვით იმაზე, მე და თქვენ რო  
ვიკით?

არტ. კნიაზო...

სოფ. რა იყო, რა, კნიაზო? არ შეიძლება, რო  
ჩვენც შევიტყოთ?

არტ. (შეაცრათ) რა შენი საქმეა?

დავ. რატომაც! (სოფიოს) მე ვთხოვ არტემ პეტრუ-  
სიჩს თავი ქალს ჩემ შვილისთვინ.

სოფ. თქვენი შვილი ჩვენ ქალს მოსწონს...

არტ. შენ ვინა გკითხამს: „ბარი ათ შაურათა, ნი-  
ჩაბი ორ კაპიკათაო!“ მე ვიცი და კნიაზ დავითმა! კნი-  
აზო, მაგ საქმეზე კვლავ მოვილაპარაკოთ!

დავ. რაღა საკულავოთ გადასადებია, არა სჯობიან

ბარემ მოვრიგდეთ და ხელი ხელს დავკრათ? თუ ჩემი  
შეილი არ მოგწონთ...

სოფ. უი დამიღეს თვალები ქა! თქვენი შეილი  
რა დასაწუნია! მე შენ გითხრა, ლამაზი ვერ არი და ტან-  
კიაობა არ იცის! იმდენეს მთელი კლუბი იყო და თქვე-  
ნი შეილი!

არტ. კნიაზო, კა ნუ გეწყინებათ და მე ქალს ქა-  
თველს ვერ მივცემ, ვერა! არ შემიძლიან!

დავ. ახლა ეგა! ქართველი რა არი, შე მამაცხონე-  
ბულო, და სომები რა არი? სუ ერთნი არა ვართ! თუ  
იმას იძინო, ჩემო ძმაო, რომ ოროლ ლვლელს უნდა მი-  
ვცე ჯვრის საწერი და სახლის საკურთხიო... (იცინის)

სოფ. რა ხუმარა რამა ბძანდებით, კნიაზო!

დავ. მა რა! სომები და ქართველი ვის გაუყრია?

არტ. არა, კნიაზო, ესე ჩქარა არ შეიძლება! თქვე  
დალოცვილო, ყველი და პური ხო არ არი ქალის გა-  
თხოება?

სოფ. შენი საქმე არ არი!... — კნიაზ დავით, ჩვენ  
ქალს თქვენი შეილი მოსწონს და ჩვენც ყაბულსა ვართ!

არტ. (სოფით) რახან ქმარი შენა ყოფილხარ და  
ცოლი მე—აბა რაღა მეთქმის! კნიაზ დავით, უკა-  
რავათ თქვენთან, არა მცალიან... (გადის)

დავ. არა, ეგ მამაცხონებული რა ძიებ თავს იდებს?

სოფ. თქვენ მაგას რა ყურს უგდებთ, კნიაზო! მე  
ვიცი და მაგანა! მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ეგ მო-  
ვარჯულო!

დავ. როდისლა? ე სანამ დამარხვდება, მინდა, რო  
ჯვარი დავწერო ე ჩემ შეილსა და...

სოფ. თუ ამ კვირიავე ეგ საქმე არ მოვახდოს,

გაშ ქალი არ ვიქნები, მაშ ლეჩაქი არ მეხურება თავზე,  
გაშ სოფიო არ მერქმევა სახელით!

დაგ. რა ვიცი, ოქვენ იცით, მშვიდობით.

სოფ. მშვიდობითა ბძანდებოდეთ! კნეინა ბაბალეს  
ჩემს მაგივრათ მოკითხვა მოახსენეთ!.. მაგ საქმეზე არ-  
ხეინათ ბძანდებოდეთ! (გადაინ)

### ვარდა

მოქმედება მესამედ

მესამე მოქმედება სწაროების (ერთი წლის შემდეგ) არტება.  
საბათოების სახლში. შეათანა თათახი: მარჯვნივ და მარცხნივ  
ჟუმეტები თავის მუთაჭებით. ერთ ერთ კუმეტაზე გდათ.  
ღვე. ლამბაძის შინელი. შეა კედელთან სდგას თეთრ სუფრა  
გაღაფარებული მაგიდა, რომელზედაც სდგას: სამა ბოთლი,  
არ ჭიქა, თევზები ნაჭმებითა... იატაგზე გდათ ხელ-საწმენ-  
დი, ჩანგალი, ნაჭმები, წაჭცეული სკამი... მაგიდის მარჯვენა  
შარეს ბუფეტის შეაფი. სცენას აქვს თრთ კარები: ერთი გა-  
დის ჭეჩაში, მეორე — დანარჩენს თათახებში, მაგიდასთან სხე-  
რან დეგან ლამბაძე და ჭრია, ლვინოსა სყამენ და თანაც მდე-  
რია: „ისევ და ისევ ლვინითა, დროც გვატაროთ ლხი-  
ნითა, პარიალალე!“ ფარდის ახდამდის იშის იმათი შეერა.

ცხვრების დროზე გამოსვლა პირველწლის შემდეგ რო იყო ამ

დეკან და კონტა ასეთ ამ ადგი

დეკ. (ჭიქით სელში მდერის) „ნოემ ჩა ერთხელ ინება უკრძალის წვენის გემოვნება, წყალი პირუტყვით მიანება, თითონ ნუნუას მიუჯდა, ვარიალალე!“

კონტ. (ბანს აძლევს, თან აღტაცებით თითებს : ტკაცუნებს) აფერუმ, ლევანჯან, აფერუმ! უი შენი კირიმე, შენი!

დეკ. ჩორთ ვозьми! ლვინისთანა კარგი რო არა  
არი რა ქვეყანაზე!

კონტ. ლვინო, დუდუკი, ქალები! აბა ამათ რა შეედარება, ჩემო ძმაო?!

დეკ. მოიცა, ამ დღეებში ისე გაქეიფო, რო...

კონტ. ღმერთმა შენი თავი დიუ ხან მიკოცხლოს,  
ლევანჯან! — მე შენგან არაფერი მაკლია!

დეკ. სადილათ დაგპატიუებ შენა, ილიკო ლაკონი-  
ძესა, შაქრო აბილაურსა...

კონტ. ნეტი შენ, ლევანჯან, როცე „აბეზპეჩნია“  
გაქვს!.. ახ, ერთი სომხის ქალი ჩემთვინაც გამოტყვანეს  
სადმე!

დეკ. ახъ ты дуракъ! მე კი მაღრიელი ვარ, რო  
სომხის ქალი შევიტოგ?

კონტ. მერე ჩა ურიგო საქმე მოგივიდა, რო შეირ-  
თე: ე მიწები დაიბრუნე, მზა-მზარეულსა სკამ, სვამ.. ებ  
ებ არაფერია?

დეკ. მერე, ის კი არაფერია, რო ვიღაც შარბათო-  
ვის ქალი კნეინა გახდა? ახ, მამაჩემს რა უთხრა, თორე.  
მე კი ოცი ათასებსაც ავალებდი!

ქოწ. რა ვიცი, ძმაო, ე მე კი ვერა ვშოულობ და?  
თითქო ერთი გვარისა ვართ, თითქო მეც შენი ბიძაშვილი  
ვარ! ოცა ათასები არ მინდა, ოღონც ასი თუმანი  
ვინმებ მომცეს და ხვალვე, ვიზედაც გინდა, ჯვარ გა-  
დავიწერ!

ლევ. ასი თუმანი, ყო ვა დენეგი! ე მიწები რო  
დავაგირავე, კაი ხამასი თუმანიც გამოვიტანე, მაგრამ  
შვიდ თვესაც არ მეყო!

ქოწ. შვიდ თვეს მაინც ხო კარგა ვიქეიფებ! მარ-  
თლა ლევან, თუ ძმა ხარ, ერთი ხუთიოდ თუმანი მა-  
სესხე.

ლევ. დედა არ მომიკვდება, ეხლა არაშეჭეს და...

ქოწ. როგორ, მართლა სუ გავითავდა ის ფულები  
ბანკიდან რო გამოიტანე?

ლევ. იმ დღეს არ იყო, კაცო, რო უკანასკნელი  
ათი თუმანი გადავუგდე „გოსტინნიცის“ პატრონს, — მე  
და შენ რო ჭურჭლეული ჩაულეშეთ და ი „ბარიშნისთვინ“  
რო დიდი სკანდალი მოვახდინეთ! ხა, ხა, ხა!

ქოწ. ხო, მართლა!.. მაშ რა უნდა ვქნა, ღმერთმა-  
ნი ძიებ მიჰირს!.. ეგება შენ სიმამრს როგორმე დასტ-  
უო, ლევანჯან!

ლევ. განა მაგ კრიეინგს ზაურს კი დასტყუებ!

ქოწ. შენ არ ვარგიხარ, თორე, აბა შენ ალაგას  
მე ვიყვე! — ხანჯალი და მაგისი ჯანი! სუ შამფურივით  
ვარჩიალებ!

ლევ. რა, მოვკლა?

ქოწ. მოკვლას ვინ გეუბნება, კაცო! მხოლოდ შე-  
აშინე: ჯერ ფული სოხოვე და, თუ უარი გითხრას,  
ამოილე ხანჯალი და შენებურათ შეკვივლე! — მაშინვე  
მოელ ცხოვრებას შენ დაგიმტკიცებს! ხა, ხა, ხა! აბა,

მშიშარა სომებს შიშველი, ხანჯალი დაანახვე და ერთ  
ვერსტე გახტება! ხა, ხა, ხა!

ღვე. არა, ჯერ მაშოს ვეტყვი: ეგება იმან როგორ  
რმე გამომირთვას.

ქოწ. უხ, ლევან! რა მადლობელი ვიქები თუ ერ-  
თი ხუთი თუმნით ხელ გამიმართამ!

ღვე. შენი მადლობა არ მინდა, ოლონდ ერთი კა-  
ცის ჯავრი ამომაყრეინ!

ქოწ. (შაჯებს გადიწევს) აბა ვინ არი, ვინამ შენ მხო-  
ლოდ დამისახელე!

ღვე. ე მაგას, მეც მოვახერხებ, შენ მხოლოდ მო-  
იტყუე სადმე! თогда ა ეს იმუ იკაჯუ!

ქოწ. ვინ არი, კაცო? რა გაწყვინა?

ღვე. იმ დღეს „ტროტუარზე“ მივდიოდი, ის გზა-  
ში გაჩხირული იდგა: მე ხელი ვკარი, — გზა მეტქე! და  
შიგ წუმპეში ჩავაგდე! ხა, ხა, ხა! თანაც ორიოდე გა-  
დავკარ მათრახითა! ხა, ხა, ხა!

ქოწ. ხა, ხა, ხა! მილენი, ბიჭი! უთხალ! ვენაცა  
შენ გულადობასა!

ღვე. მერე წამოვიდა ისა და პრისტავთან მიჩინელი.  
მე იმი ჩივილით კი არა დამაკლეს რა, მაგრამ ნახოს თა-  
ვის სეირი!

ქოწ. აბა ჩივილი როგორც უნდა, მე ვასწავლი!

ღვე. თუ ცალკე ჩავიგდეთ სადმე, ხო კარგი; თუ  
არა და ერთი მიზეზი უნდა მოულოთ რამე!

ქოწ. შენ მაგაზე არხეინათ იყავი: მე ვიცი და იმა-  
ნა! შენ მხოლოდ მიჩვენე, ვინ არი?

ღვე. ჩეხთა, თუ მე თითონ არ ამოვიყარე იმი ჯა-  
ვრი, ვერ მოვისვენებ!

ქოწ. მაშ მე ხელში მოვიგდებ იმასა და შენ იცი,

ლევანჯან, როგორ ზაკუსკასაც მიართმევ! შენ შეგიძლიან, რო ერთი შემოკვრით კაცი წააქციო?

ღვგ. ერთი შემოკვრით კი არა, ერთი რო შეუბერო, სუ ყირამალა ვატრიალებ! — ჩვენ პოლკში ჩემისთანა ღონიერი არავინ იყო!..

ქოწ. რომელი საათია, ლევან?

ღვგ. რა დროს საათია, კაცო, ჯერ თერთმეტიც არ არი!

ქოწ. დღეს ერთ კნეინასთან ჩიხირთმაზე ვარ მიჰატიუღლი!

ღვგ. Постой ერთი და, რა დროს ჩიხირთმაა! ჯერ, პატარა გავიარ-გამოვიაროთ „ბულვარზე“, რესტორანშიაც შევიხელოთ — ერთი იარი ბოთლი „კახეთინსკიც“ იქ გადავკრათ, „ზიმნი“ ბაღში შევიდეთ და ერთ ერთი „შანსონეტი პევიცა“ წავიყვანოთ საღმე სადილათ...

ქოწ. მაშ წამო, გავიაროთ რაღა! — ეძვირფას დროს რაზე ვკარგამო!

ღვგ. ჯერ ფული ვიშოვო! შენ წადი ე მანდ და საღმე მომიცადე, — მეც საცაა იქ გავჩნდები.

ქოწ. ძალიან კარგი, კეთილი!

ღვგ. მოიცა, თითო სტაქანი კიდევ გადაუსვათ!

ქოწ. მაშ მე წავალ და აბა შენც არ დაიგვიანო, და ხელ ცარიელი არ მოხვიდე!.. (გადის)

გამოსვლა მეორე

ღვგან მარტო, მერე მაშა

ღვგ. Чортъ побери, რა სკუჩნაობაა! უიჳ დედავ!.. მინც აღარა ყოფილია.. ახ, ერთი ათი თუმანი ჩამი-

ვარდეს ეხლა ხელში!.. (შემოდის მაშო) აქ მო, მაშო, შენ-  
თან ერთი საქმე მაქვს.

მაშო. ვიცი, რაც საქმე გექნება! აბა რალა თქმა  
უნდა, რო ფულები შემოვაკლდებოდა!..

ლეგ. სწორეთ ეგრ!

მაშო. ხო და, მაშ ტყუილათ ისჯები: მე ფული  
არა მაქვს!

ლეგ. შენ რო არა გაქვს, მამაშენს ხო აქვს?

მაშო. ბევრიც რო ჰქონდეს შემაჩინევა, ის შენ ფულს  
აღარ მოგცემს! ფული მოგცეს, რო წახვიდე და ქალე-  
ბში და ლოთობაში ფანტო?

ლეგ. ეგ ჩემი ნებაა!

მაშო. შენი ნებაა და ფულიც შენ იშოვე!

ლეგ. გირჩევნიან, ერთი ათი თუმანი გამომირთვა  
მამაშენსა, თორე, დღესვე ხელს ავიღებ შენზე!

მაშო. უხ, თავი კი არ მოვიკლა! ნეტა კი ეგ საქ-  
მე ჩაიდინო და დიდ მაღლობასაც გადაგიხდი!

ლეგ. შენისთანა სომხის გოვო, რო კნეინა გახდა!

მაშო. შენისთანა კოტრა კნიაზი რო მე შევირთე!  
ცარიელი ჩერქესით მოხვედი და დიდი გულიცა გაქვს!

ლეგ. უი შე „ფოდრაჩიკის“ ქალო, შენა!

მაშო. როცა მთხოვლობდი „ფოდრაჩიკის“ ქალი  
არ ვიყავ? — რათ შემიროე? მაგრამ, ხო მშიერიც მოკვ-  
დებოდი, რო მე არ შეგყროდი!

ლეგ. ე მანდ ჩაჩუმდი, თორემ!.. (მიიწევს მაშოსაქვნ,  
მაშო კიგილით უკან დაიწევს, ამ დროს შემოდის არტემი  
შარბათოვი)

არტემა. (ლეგანს) ეი, ეი! ხელი ფაფის და!

მაშო. ჩამციებია: „გინდა თუ არა, ათი თუმანი  
გამომირთვი მამაშენსაო!..“ (მაშო გადის)

ო შემცირ არის მაგრა ამორფული მარტინი. ტენი ამორფული გამოსვლა მესამე იძინ და ვარ მაგრა მენტი აფში ის არის მაგრა ამორფული გამოსვლა მესამე იძინ და ვარ მაგრა არცემა და დეგანა მეც ჩამოს და ვარ მაგრა ამორფული გამოსვლა მესამე იძინ და ვარ მაგრა არცემა. რაო, ათი თუმანიო?

ლეგ. ხო, სწორეთ ათი თუმანი: გუშინ კარტში წავაგე! არე. შენ რო მილიონიც წააგო, ჩემი რა გადასახადია? იმის მაღრიელიც იყავ, რო გაჭმევ, გასმევ და გაცმევ!

ლეგ. ვის უბედამ მაგეებსა!!.. შენ ჭამა-სმას დიდთ აფასებ და იმას კი არაფრათ ავდებ, რომ მე, კნიაზ ლამბაძემ, შევირთე შენი ჭალი?!

არტ. ოლონც გამეცალე, შვილო, და ე კნიაზობაც წალე, გრაფობაცა, ბარონობაცა და „ფერდმარ-შლობაცა!“

ლეგ. მე აქედან ფეხს არ მოვიცლი, სანამ...

არტ. რა გინდა, შვილო, რა მმართებს უნი? რა მოგიტანია, რახე გაქვს დიდი გული? მიათვალ მოავალეოებე, ერთი სკამი კია შენი აქა? ეს ერთი კნიაზის მეტი ხო არა მოგიტანია რა! წალე ეს კნიაზობა და მომწყდი თავიდანა!

ლეგ. ჰა, ჩეარა ათი თუმანი ამოილე, თორე სისხლი ყელში მოვიდა!

არტ. ხათაბალა!.. საღა მაქვს, ძმაო, იმტელი შეძლება, რო წამ და უწუმ ათ თუმნიანები გაძლიო? შენ რო ეგრე მოჰყვე, მანთაშოვის შეძლებაც არ გეყოფა და მე შენ ფულით როგორ გაგაძლო?!

ლეგ. ჩეარა ამოილე ე ფული, თორე მე შენ გაგაძლობ

არტ. ამისთანა უბედურობა გინახამთ საღმეშ! რა ვენა, ე რა ჭირი და ხორველა შემომივარდა სახლში! ახ, ჩემ ცოლსა და ქალს რა უთხრა! რა გინდა, შვილო, ხო არა დამიშებია რა შენთვინ: რვაასი თუმნის მიწები ცალკე დაგიბრუნე, ცოლს ცალკე გინახამ, შენ ცალკე და შენი ბიძაშვილი კოწიასაგან ხო შეკმული ვარ!

ლეგ. აქ სომხურ „შჩოთებ“ ნუ მოჰყვები! ჩეარა ამოიღე ე ფული, თორე შენი სიკვდილის საათი მოვიდა! (ხანჯალზე ხელს ივლებს)

არტ. ბიჭოს! ჩემ სახლში მე მიბანებშ! ეს კაი ამ-ბავია!

ლეგ. თუ შენი სიცოცხლე რათმე გიღირს, ჩეარა მოიტა ათი თუმანი, თორე სუ ლუკმა ლუკმა აგკუწამ!

არტ. ამკუწამ რა, ჰალა ჰალა! მერე, შენ რაღას გიზამენ? — მგონი ციმბირი აქეთ დაგრჩეს!

ლეგ. დამრჩეს და დამრჩეს, ე შენ სისხლს ხო დავ-ლევ! (ხანჯალს იძრობს)

არტ. (გარბის დერეფნისკენ) მიშველეთ! მიშველეთ!

ლეგ. აი შე მშიშარა, სომეხო, შენა! ახъ ты тру-  
сишка этакий! ხანჯალი რო დაინახე, როგორ გიკეცი! რა მძლავრი და გულადი კაცი ბძანდები!.. ისტორი-  
ერთხელაც იქნება და შენ ჯავრს ამოვიყრო! (შინელს წა-  
მოისხამს და გავა)

### გამოსვლა მეოთხე

#### არტემა და მაშა

მაშა. (შეშინებული) რა იყო, პაპა, რა ამბავიაშ!

არტ. (აღშიფოთებული) რაღა რა იყო, რაღა რა იყო...

კინაღამ ხანჯლით ამჩენა მაგ სათოკემა, მაგანა! რაც თოკი მაგას დაახრჩობს, ის თოკი იფსუსია! არა, თუ დღესვე პრისტავს არ გამოვუცხადე, მე ეგ მოუკლავს არ გამიშვებს!

მაშო. უჩივლე ჰაპა, სუდში უჩივლე!

არტ. ერებლი ამბობ მაგასა? წინათ რასა პფიქრობდი, როცა მაგ საციმბირესთვინ თავს იკლამდი?!

მაშო. ბარე ერებლი ბეცრსა ვნანობ, მაგრამ...

არტ. (აჭავრებს) „კნეინობა მინდაო, კნეინა უნდა გავხდეო“... ეგეც შენი კნეინობა! კნეინა კი არა, უკანასკნელი ცკურტნიანი მუშის ცოლი რო ყოფილიყავ, ის არ გერჩივნა!

მაშო. ათას წილათ!.. ნეტა მე ეჭ... მეცა ასილების

არტ. რო აღარა ქენი, შვილო! რო საუბედუროთ იყავი ატეხილი! რო კინაღამ შენი დაგემართა! კინაღამ სახლიდან გამიგარდი და! მაგრამ შენ რა გაგამტყუვნო, როცა სულელი დედაშენი სუარესსა სჩადიოდა! სადა ბძანდება?

მაშო. დილას ქარგასლაში წავიდო არშიების სა-

ყიდლათ! წეოძოვ ამა თმ მოუც აუკი ას მგენ არტ. არ ღმერთსა ვთხოვ, რო ან კონკამ გაიტანოს, ან ფაირონმა და ცოცხალი აღარ მოვიდეს შინა! ერთი მობძანდეს აქა! ეს ხო სუ იმან შემძლვნა, ამ ცეცხლში და ნავთში ხო სუ იმან ჩამაგდო!

მაშო. მე მაგას უთუოთ უნდა გავეყარო, ჰაპა...

არტ. რათა, შვილო, რათ გამიხადე სახათაბალო საქმე? რატო მაგეებს წინათ არა ფიქრობდი?

მაშო. ახლა მე რო ვიცოდი, თუ ეგრეთი იქნებოდა!

(გადის)

## გამოსკლა მეხუთე

არტემა მარტო, მერე ბაგრატი

არტ. (დადის სცენზე) არ ვიცი, ღმერთმანი, თუ  
რა უნდა ვქნა! გავყარო ჯვარ დაწერილები? — საისტო-  
რიოთ დავედო, ქვეყანა ჩემზე ავალაქლაქო, ქალიც  
არც გათხოვილებში მყავდეს, არც ქერივებში... კაცო,  
უნდა წამალი დაედოს თუ არა?!. წამალი?.. აი წამალი  
რა იქნება: ეგ, აუცილებელია, შეჰკრამს საღმე თავსა,  
კაცს შემოიკლაში და კატორლაში წავა. აი ეს ულვაში  
ძალლისა იყვეს, თუ მაგის ციმბირი ასცდეს!.. (შემოდის  
ბაგრატი)

ბაგრ. არტემ, როგორა ხარ, არტემ!?

არტ. ისე შენი მოერი იყვეს, როგორც მე ვარ  
დანა დამცე — სისხლი არ გამომივა!

ბაგრ. რა, კიდევ გაჯავრებს შენი სიძე — კნიაზი?

არტ. კნიაზი იმასა და იმის თავსა, იმრო კაცია!

ბაგრ. რა იყო, ფულებ ხო არა გთხოვს?

არტ. ფულის თაობაზე არ იყო, რო ეხლა კინა-  
ლიმ ამხანჯლა?!

ბაგრ. ახია შენზე, რათ მიეც ქალი!

არტ. მე მივეცი?!. „მოლა მასრადინა ჯოჯონეთში  
არ მიდიოდა, ხელი ჰქილეს და ჩაგდეს!“ კაცო, რო  
ალარა ჰქინეს, რო ალარა მომისვენეს! ცალკე ცოლმა,  
ცალკე ქალმა: კინალმა ქალი სახლიდან გამიყარდა და!  
ბაგრ. აბა შენ ალაგას მე ვყოფილიყავ და ვაჩვენე  
ბდი, სახლიდან გავარდნას.

არტ. კაცო, ამნაირი ცეცხლი და ნაეთი, ამნაირი

კირი და ხორველი გინახამ საღმე?!. ვაჭმევ, ვასმევ და თანაც თავზე კაკალს მამტვრევს!

ბაგრ. ან რათ აჭმევ, ან რათ ასმევ: ქალი გაგი-თხოებია, მზითები მიგიცია...

არტ. რვაასი თუმნის მაწები დავუბრუნე! (შებლზე სელს შემთიდრამს) აი დაგიდგეს ჭკუა არტემ!

ბაგრ. დაუპრუნე და რალას გიზის აქა? ე თავისი ცოლი წაიყვანოს და საცა უნდა, იქ აცხოვროს!

არტ. „აცხოვროს!“ სამი შაური ჯიბეში არ უძევს, პაპიროზის ფული არა აქვს და ეგ ცოლს აცხოვრებს! ვმ!

ბაგრ. მერე მიწები რა უყო?

არტ. მითომ არ იცი!.. მიწები დაავირავა, სამასი თუმანი გამოიტანა და ფაფასევებ ერთ დღეს შექამდე! მი-წები კი არა, რაც ბაქოში ნავთის მაღნებია, რაც ზღვა-ში კენჭებია, სუ რო ფულით იქცეს და ხელ აღებით მაგას მისცენ, მაინც ხელის საბანათ არ ეყოფა! რას ამ-ბობ, კაცო, ქალალის ეგა თამაშობს, ღვინოს ეგა სვამს, ქალების „ახოტნიკი“ ეგ არის...

ბაგრ. ერთი სიტყვით, ყოვლისფრით შემკული ყო-ფილი რალა!

არტ. კაცო, საცა და შეულ კნიაზს ნახამს, შემოჰ-ყავს ჩემს სახლაში და აძლობს! მე მართლა აქ „ბალა-დელნია“ კი არა მაქვს გამართული!

ბაგრ. მერე კნიაზებს ხო გაფუფქული მგელიც ვერ გააძლობს!.. ევრე გულ-უხვი შინიდან მობძანდი თქო!

არტ. კაცო, გამიკითხე, ერთი წამალი და დე რა-მე და!

ბაგრ. „მკვდარი მკვდარს აეკიდა — მეც სამარემდინ მიმიტანეო“! გასაკითხიც მე ვარ და საწამლელიცა!

არტ. რა იყო, შენ რალა ჭილ-კოტი აგიტყვლი

ბაგრ. ამაზე მეტი რაღა უნდა იყვეს: შარშან რო  
ი თავადიშვილის მიწები ვიტორგე... არტ. მერე?

ბაგრ. წავედი ლალების ასაკრეფათ და იქ კი შეია-  
რაღებული კნიაზები და ჩეჩენები დამხვდნენ: ასე გევო-  
ნებოდა ომი გაჩენილა და მტრის დასამარცხებლათ ემ-  
ზადებიანო...

არტ. რაო, რა მინდაო?

ბაგრ. მარცვალსაც ვერ წაიღებო!

არტ. მითომ რატომაო?

ბაგრ. იმიტომაო, რო ამ მიწებში ჩვენც გვიძევს  
წილიო: ბიძა ჩვენმა რო დააგირავა, გაუყოფელი იყოვო...

არტ. მერე, რატო მაშინ არ წამოდექით, როცა  
ტორგილინ იყიდებოდა თქო? ან ბიძა თქვენ როგორ  
შეეძლო...

ბაგრ. როგორც ეხლა მე ამ სახლში წილი არ მი-  
ძევს, ისე იმათ იმ მიწებში! მაგრამ უნდათ მოიმიზეზონ  
რამე თუ არა? „მიზეზ მიზეზ, დას მარილი აკლიაო!“

არტ. მერე წაგართვეს დალა?

ბაგრ. სამასი კოდი პური და ქერი მომტაცეს, თა-  
ნაც კინალამ ლუქმა ლუქმა ამჩენეს! მოვდივარ და თა-  
ნაც მომკივიან: „სომეხო, შეგეშინდაო! აი რუსის ზა-  
კონი არ იყვესო, გაჩვენებდით შენ თამაშააო!

არტ. მერე, ი გლეხკაცები რაღას აკეთებდნენ?

ბაგრ. ასე დააწყვიტეს წელები ი გლეხკაცებსა, რო  
ნაბდლვრიალი ზეცაში აღიოდა! ვინც კი იმათი მხარე  
არ დაიჭრა, სუ მათრახებით გაელიტეს! ზოგს კამბეჩი  
წაართვეს, ზოგს ცხვარი, ზოგს ცხენი, ზოგს ძროხა...

არტ. ახლა რა აპირებ?

ბაგრ. უნდა გლეხკაცებს უჩივლო: მე გლეხკაცებ-

თანა მაქვს საქმე, თავადიშვილებთან რა მესაქმება! „აკა-  
ბარი მგელმაც იცისო“ — სუ იმათ კისრიდან ვიზლამ!  
რატო ერთი პირი არა აქვთ: მთელი სოფელი ოცხა და  
ოცდათ კაცს ვერუნდა მოერთოს? „ჩვენი რა ბრალიაო,  
ჩვენ რათ უნდა გადავიხადოთ შენი ლალაკ, ჩვენ რათ  
უნდა გავიჭყლიტოთ შენ და თავადიშვილებს შუაო!“  
კაცო, შენ რო ცხვარი მოგაბარო და ახლა იმ ცხვარში  
გადმოგივარდენ მგლები და გაგიწყვიტონ ფარები, მაშ  
ჩემი ცხვრები აღარ უნდა ჩამაბარო, საქონელი აღარ  
უნდა მაჩვენო?!

ათტ. შენ ი გლოხეკაცებს მაგრა დაუჭირე კისერი! ალბათ ი თავადებმა შენზე ნაკლებ-ნაკლები გამოართვეს დალა და იმათაც იძირომ ირჩიეს კნიაზების მხარე! ახლა კნიაზებს კი არ უჩივლებ?

ბაგრ. ი გლეხტაცებს რო უჩივლებ, ახლა ისინი ი  
კნიაზებს არ უჩივლებენ?.. მაგრამ „სანამ პეტრე მიეკ-  
უველებოდა, — პავლეს ტყავი გასძვრაო!“ სანამ სუდში  
გაირჩევა საქმე, სანამ კნიაზები ი ლალებ— გაჰყიდრან და  
შეთოხლამდნ! მერე წალი და ზდიფ! ხო არც რა აბადი—  
ათ რა, რო კაცმა აუწეროს და იქიდან აინაზღაუროს!

ბაგრ. ატეხილან და ნახონ თავიანთი სეირი!.. მარ-  
თლა არტემ, ერთი ოცდა ათი თუმანი არა გაქვს, სამი  
დღით მასესხევ?

ଏଣ୍ଡ୍ର. ମେଗରଟ୍ଟ୍ୟୁ, ଲୁତ ଗିନ୍ଦା, ଫୁଲି ଶ୍ରେଷ୍ଠଗାୟିତ୍ରୀ?

ბაგრ. არა, კაცო, ჩემი ფული გავეცი და ეხლა  
ერთი სანდო კაცი მდიდარება, კაი სარგებელს იძლევა.

ათტ. რა კაცი ხარ! ჩემგან ორ შაურობაზე ფული  
უნდა წაიღო და სხვას ათ შაურათ ასესხო! აზირ მე თი-

თონ ვნახო ი ვიღაც სანდო კაცია: „ლუკმა გავარდეს, — ჯაში ჩაგარდესო!“

ბაგრ. კარგი ერთი, არტემ, და! განა ნათესავე? ში ეგეც უნდა იყვე? არა გრცხვენიან, რო მოყვარეს ეცი-ლები? მე ხო დიდხანს არ მინდა: იმ კვირია პურს გავ-ყიდი და შენ ფულს ჩაგაბარებ... თუ გინდა ვექსილიც ჩამომართვი!

არტ. კარგი, მე სულელო, გეხუმრები! წამო მოგ-ცი. (გადიან)

### გამოსვლა მექქე

მაშო მარტო, მერე სოფია

შაშო. (დადის სცენაზე) მეც მითოვ რომანიულით გავთქოვუ, მეც მითომ романическій герой შევირ-თე!.. (შრაქეთ) ჰმ!.. სამ სამი დღით სახლიდან იკარგე-ბი, — თვრება: მოვა შინა და ხანჯალს იღერება! სკამს, სვამს, გამოიძინებს და სასკანდალოთ გავა გარეთ: ხან, სცემს ვისმე, ხან, ავეჯეულობას დალეწს რესტორანში და სამ სამი დღით პოლიციაში ზის!.. (შემთდის სოფია)

სოფია. (ნაგაჭის გუშეტგაზე დასდებს) რა იყო, გვ-ნაცვალე, რათა ხარ დაღონებული? კიდევ ხო არა გა-წყება რა იმ...

მაშო. საცემრაო იწია და...

სოფ. როგორ თუ საცემრაო?

მაშო. ათი თუმანი გამომირთვი მამაშენსაო.

სოფ. ათი სახარება გავიწყრეს თქო, რამდენჯერ უნდა...

მაშო. პაპამ რო უარი უთხრა, იძრო ხანჯალი და კინალამ მოჰკულა!

სოფ. ქა...ა...ა, ეს კაი ამბავიდ, ეს სახუმარი აღარ არი!..

მაშთ. სახუმარი კი არა, თუ მე მაგას არ გავეყარე, დავჭრექდები რაღა, დავჭრექდები!

სოფ. არა, გენაცვალე, შენ გულ დაუხმე; გაყრა როგორ იქნება! მაშინ ხო თითოთ საჩვენებელი გავხდებთ: ზოელი ქვეყანა ჩვენზე ილაპარაკებს! ასე კი არ იტყვიან, რომ შენ დაანგებ თავი; — ალბათ ქმარმა მისი ცუდი საქციელი ნახაო და...

მაშთ. რაც უნდათ — ისა სთქვან, მე მაგასთან ვეღარ ვიცხოვრებ, ვეღარ, ვეღარ და ვეღარ!

სოფ. შვილო, შენ არ იყავი, რო მაგისთვინ თავს იკლამდი? შენ არ იყავი, რო...

მაშთ. ვოტ ეშე ნაძიშვილი! მე რა ვიცოდი, თუ ეგრეთი იქნებოდა? მე მაშინ სულელი ვიყავ, ტუტუტი ვიყავ!

სოფ. ეხლა რაღა გაეწყობა, გენაცვალოს დედა; როგორც იყვეს უნდა მოვითმინოთ.

მაშთ. თქვენ მოითმანეთ, მე კი ვეღარ მოვითმენ! (გადის)

გამოსვლა მექედე

სოფია მარტინ, მერე არტემის

სოფ. აქლა ნახეთ ჩემი ქმრის გაცოფება თორე, აქამდინ რა უჭირდა! ხანჯლით უწევია! ეხლა სუ ჩემზე იყრის ჯავრსა! ახია ჩემზე, კიდევაც ცოტაა! არა, რამ შემსვე ეშვაკის ცხენზე და რამ მიმაცემინა ქალი მაგ გი- გისთვინ? რა ვიცოდი? ვთქვი: ეფული ხო გვაჭს, ახლა

დიდყაცობა-და გვაკლია მეთქი. ისე კი არა, თუ დიდყა-  
ცებშიაც გამოვწყდით და პატარა კაცებშიაცა! უი დამი-  
დგეს თვალები! უი მომიკვდეს მე თავის ახლა რამდონ  
დამცინებენ ისნიფორა და კატარინა! განა არა, იმ დღეს  
ლოტოში რაღაც ჩურჩულ-კურკური ჰქონდათ! (მუხლში  
ჩაიკამს) დახე, მტრის გულისა არ გავხდი!.. (დიდი სი-  
ხემე. შემოდის ათტემა) კაცო, რა იყო, რა ამბავი ყო-  
ფილა?

არტ. ჰმ! თანაც რო მკითხამს! ოხ, უნდა აგილოს  
კაცმა და გახურებულ თონეში ჩაგვიდოს!.. ეს ხო სუ  
შენ შემძლვენი, შენა!

სოფ. მე რას მომწვდები ხოლმე: შენ რო სიდეს-  
თან უსიამოვნება მოგივიდეს, ჩემი რა ბრალია? რა  
არტ. ჰყურობთ ამასა!.. ესტიბარსაც რო არ იტე-  
ხამს! დედაკაცო, რა გჯირა: ან მე რათ გამაუბედურე,  
ან შენი ქალი?!

სოფ. მე რა ვიცოდი, თუ ეგრეთი იქნებოდა: მე  
ხო მართლა გულთმისანი არ ვიყავი?

არტ. კარგი, ეგ ეგრე იყვეს; სახლში რაღათ შე-  
მომაყვაინე ეგ ლანგ-თემური, ეგა?!

სოფ. რა ვიცი, ვსოქვი: სანამ ალაგს იშოვის მეთქი...

არტ. რა ალაგს?

სოფ. შაგი დედა ბაბალემ არა სოქვა: „ბანკში  
ალაგს დამპირდნენ ლევანისთვინაო.“

არტ. ბანკში კი არა, თუ არ დაგიშლია, პალატის  
„პრესედატლობას“ მისცემენ, ან ფრანციის პრეზიდენტს  
გადმოავლებენ ალაგიდანა და მაგას დასვამენ! (შემოდის  
ბიჭი, ხელში უჭირამს გატენილი ხურჯინი და იატაზე სდგამს)

სოფ. რა არის ეგა, ვინ მოიტანა?

ბაჭე. კნეინა და კნიაზი ჩამობრძანდნენ სოფლი-  
დან. (გადის)

არტ. ჯერაც არ მობრძანებულან!

სოფ. მაღლობა ღმერთსა! (შემთდის ბაბალე)

გამოსვლა მერვე

იგინივე და ბაბალე, მერე დაგითი

ბაბალე. დავითი ე მანდ თამბაქოს საყიდლათ მივი-  
და, — საკაა მოვა.

არტ. (იქით) თუ დაიგვიანა, ძაან დავენდურები!

ბაბ. სხვაა... ჩემი ლევანი როგორ არი, ენაცვა-  
ლოს იმას დედა? ერთი თვეა აღარ მინახამს!

არტ. რა უჭირს: მშვენივრათა სქამს, სვამს, თვრება...

სოფ. ქალალდს თამაშობს...

არტ. ხანჯალს იღერება...

ბაბ. (დიმიდით) ჯერ ისევ ბავშვია, ენაცვალოს იმას-  
დედა!

არტ. კაი ბავშვია ოცდაერთი წლის ახმახი!

ბაბ. რაო? „ახმახიო?“ პირი გამოირეცხე და ისე  
ახსენე!

არტ. „ლადიკალონებით“ გამოვირეცხამ, — წყალ-  
საც არ ვაკალრებ!

სოფ. არა, ძიელ რო იტკიცე: შენ უბედურ შვილს  
არ იცნობ, თუ როგორ არი?

ბაბ. როგორ თუ „უბედურსაო?“ ოთხივ კუთხივ  
ჯვარი ეწეროს! უბედურიც თქვენა ხართ და არც არა-  
ვიცი რა! იმან რო თქვენი გომბიო შეირთო, მართლაც  
რო უბედურია!

სოფ. (დოინჯით) რაო? „გომბიოოზ?“

არტ. (ბაბალეს) არა, ვინ გეხვეწებოდათ: „ჩვენი გომბიო შეირთეთო?“

ბაბ. რატო კიდევ არ გიხარიანთ, რო თავადი შვილებს დაუმოყვრდით?

არტ. ცას ვეწევი რაღა, ცასა! სიხარულით ფეხზე აღარა ვდგევარ!

სოფ. თქვენისთანა თავადი შვილებს რო...

ბაბ. (დაარღვევს) ვაი თავადი შვილების უბედურობასა, რო თქვენისთანა პოიოების სახსენებელიც გახდნენ! იყო დრო, რო თქვენისთანაები მოჯამაგირეთ გვადგნენ!

არტ. იყო და აღარ გახლავს!

სოფ. რაო? „მოჯამაგირეთაო?“ შენისთანა კნეინასა ორმოც თუმნათ ვიყიდი და გავყიდი, იცი თუ არა?

არტ. პოიოებიცა ვართ, მოჯამაგირეებიცა ვართ, ფოდრაჩიკებიცა ვართ, აյ, მოგვწყდით თავიდანა და!

სოფ. ვინ ვის ლუკმაზეა?

ბაბ. ჰა!.. როგორ აშკარათ ვეტყობათ დაბალთაგნობა!

სოფ. რაო? „დაბალთაგნობაო?“ შენ თუ მაღალთაგანი ბძანდები, ერთბაშათ თავზე კი არ გადამახტე! შენ შალის კაბა გაცვია, მე—ფარჩისა! შენ ნივთი „სსულნო კასსაში“ გაქვს დაგირავებული, მე—შინა მაქვ! შენ ცარიელ ლობიოზე ირთმევ სულსა, მე ყოველ დღე სუფსა და კატლეტებსა ვჭამ!

არტ. (ბაბალეს) ეხლა ვართ დაბალთაგანი, როცა ტვინი ამოგვწოვეთ?

ბაბ. ახია ჩვენზე! — თქვენი ქალი რო რძლათ შევიცვანეთ, კნეინა გავხადეთ...

არტ. იცის ღმერთმა, რო როგორც ურია ლორის ხორცია, ისე ვერიდებოდი მაგ კნეინობასა!

სოფ. ძიელ არ ეტყობა შენ შვილს კნიაზობა: წამ და უწუმ, ცოლს ცემას უქადებს!

ბაბ. „კაი ცხენი მათრასს არ დაირტყა: მსო.“ — ალბათ ი თქვენმა არ დასარჩენმა ქალმა. . .

სოფ. არ დასარჩენი ისევ შენი შვილია! ჩვენ ქალს ჯვარი ცწეროს!

არტ. (ბაბალეს) რა გინდათ, დედავ და თვალო: აღარ ჩამომექსნებით; აღარ გამეცლებით? ჩემი ხახლი „პოსტა-იალი დვორი“ კი არ არი!

სოფ. „გოსტინნიცა“ როდია! (შემოდის დაგითი) დავითი. რა იყო, რა ამბავია?

ბაბ. ის ამბავია, რო კარგათ გამომშუპრეს ამ უს-ვინდი სოებმა და...

სოფ. უსვინდისოცა...

არტ. (დაარდვეჭეს) შენ ე მანდ შენთვის იყავი!.. კნიაზი დავით! მე თქვენ შვილს ვეღარ გაუძლებ!

ბაბ. ვაი ქვეყნის ოხრობასა, რო...

დავ. (ცოდნის) მოიცა!.. (არტემის) რა, კიდევ გა-ჯაერებს?

არტ. „მაჯავრებსო?“ რას ამბობ კაცო, აქაურობას იკლებს რაღა! ერთი „ნიმუტი“ იმისაგან მოსვენება არა მაქვს! წამ და უწუმ ხანჯლით თავზე მაღვია: „ჩეარა ფული მოიტაო!“ მე მართლა აქ „ხაზინა“ კი არა მაქვს!

სოფ. რა ენა და პირი მოსთქვამს...

არტ. (ცოდნის) დაჩუმდი მეთქი! როცა მე ვლაპარაკობ, შენ ნუ წამოეჩები ხოლმე!.. (დაგითის) რაც გარეთ აპნევს ფულისა, ხო აპნევს, ახლა რაც შინ ბასტი-ბუბუებსა მთრთამს, ის კიდევ სხვაა! ჩემ დაუკითხავათ...

ბაბ. შენც უნდა დაგეკითხოს თავადიშვილი?

დავ. დააცადე, ბაბალე, და! (არტემის) მერქე?

არტ. რას მოგახსენებდი: ხო, შემოჰყავს ჩემ სახლ-ში თავი იმქარი: იქმევს, ასმევს... შე დალოცვილო, მე მარილა აქ ქარხანა კი არა მაქვს, თქვენი შვილი რო შევინახო...

დავ. (ამთახვრით) ეხ, არტემ! მე ხო ჩემ შვილს არ უსარჩლდები, იმი მიღრიელი ძალი იყვეს, მაგრამ შენც ვერაფერი პატიოსანი კაცი ხარ!

არტ. როგორ?

დავ. როგორ და ისე, რო თითო ლუკმას მამა სი-სხლათ აფასებს! აბა რო პატიოსანი კაცის ქცევაა ეგ და-უვეღრება, ჭამა-სმის ჩამოთვლა?

არტ. უველა ანგარიშია, კნიაზო! მე სომეხი კაცი ვარ, — ჩემი ოფლითა ვცხოვრობ!

დავ. კარგი, მაგაზე ნუ მივარდება, თორე ვიცი, რა ოფლითაც ცხოვრობ! (ხელი ხელს გადაკიდული ბარბარით, შეჭრიან ღეგან და კოწია, ქუდი გვერდზე ჭრებამთ. ღე-განს შინელი ცალ მსარზე ჭკიდია და კორეგა. ძრიელ მთვრა-ღები არაან, მდერიან: „საღა ხარ ჩემო... ა სუ... სული... იკო?.. შენ ხომ არა... ა ხარ... რ სული... იკო?“ შემოვლენ თუ არა, კოწია ერთ ერთ კუშეტკაზე დაეცემა და მაღვე ხვრინ-გასაც ამოუშვებს. მეორე კუშეტკაზე ღეგანი დაეცემა, თავს აქეთ იქით აქნევს და მღერის: „საყვარ... ლის... საფ... ლა... ავს ვეძე... ებდი... ი... ი!“)

ბაბ. როგორა ხარ, გენაცვალე? (ჭკოცნის რამდენ-ჯერმე) რათ გამხდარხარ, შენი ჭირიმე, შენი?

დავ. შემი ცქერის, რო მოკვდეს კაცი, ისა სჯობი-ან რაღა!

არტ. ი, უოველ დღე ეს ამბავია, კნიაზო!

დავ. (შეიძლ) შე უბედურო. ჩამენა! აბა! ეგ რა ამ-  
ბავია შენ თავსა?!

ბაბ. დევესენ! ცოტა ნუნუა გადაუკრამს და პატარა  
ქეიფიანათ არი! გამოიშუ შება და (მარგალიტივით დიჭი  
იქნება ისევა! ენაცვალოს და წამლოთ დაენაცოს ამას დე-  
და! წამო, შენი კირიმე, წამო შენ გენაცვალე, ლო-  
გინში ჩაგაწვინო—არ გაცივდე!

სოფ. ამ დამიღვეს თვალები, რო შენისთანა ლოთი-  
პატარნსა ქალი მივეც!

ბაბ. ირთლა? ამისთანა, ლოთი-პატარნი, ერთ  
თი ათიც გეყოლება, შენმა თავის მზემა!

არტ. არცა მყავს და ნურც მომცეს!

დევ. (თითქმის გამოივხიზდება, წამოდგება ბარბაცით  
და სახულზე ხელს ივლებს) ა...ოხ, შე და შე... გაბე... ერთი...  
ილო... კომე... ეხო!.. ერთი... ი შენი... ი სის... ხლიც...  
(დაცემა კუშეტაზე)

დავ. რას სხადი, შე!.. გინდა რო საციმბირეც გახდე?!

ბაბ. (ეხევა შვილს) და ანუბე, კუნაცვა, თავი; მაბა ცე  
მაგაზე უნდა ხელი გაისვარო! წამო, მწამო შენი, კირი-  
შე... (ძალაზე წამოაუქნებს და ჭაიფვას).

დავ. ისე ჩემი შეილი არ ბრი, როგორც უცხა! (კო-  
სიზე უთმოთებს) სუა ამან გადამირია, სულა! ციციბი (არებ  
არტ. არა, ეს მამაცხონებული, რამდენიც დათვრე-  
ბა, აქ რაღას მორბის ხოლმე! ჩემი სახლია, ბალნიცაა, თუ  
რაბარი!.. (შემოდის ბოჭაული) ნები ის ცოდნა და ციცი-  
ბი ცდ—, თამადიდეთ და თავის მოიწოდეთ ნები მათ

გამოსვლა მეცხრე

იგინივე და ბოჭაული

ბოჭაული. კნიაზ ლევან და კნიაზ კოწია ლამბაძეე-  
ბი აქა ბძანდებიან?

დაგ. (კანგალით) აქ...აქ...არიან... არა, მგონი... წა-  
ვიდნენ... რა იყო?

ბოქაული. კაცი შემოაკვდათ და ის იყო!..

დაგ. (წაბარბაცდება) ვაიმე!.. ვაიმე!.. ვაიმე!..

არტ. (იქით) როგორ ენამ მიყივლა!.. (ბოქაულს) რო-  
დის, როგორ? ეხლა აქ არ იყვნენ?

ბოქაულა. მე არ მცალაან, რო აქ მუსაიფი დაგი-  
წყოთ!.. ემ ერთი საათის წინათ ეგ ყმაწვილები აქ ახ-  
ლო რესტორანში, შესულან და ლვინო გადაუკრამთ. ამ  
დროს, ამავე რესტორანში შემოსულა ერთი კაცი. მაგ  
ყმაწვილებს, არ ვიცი, ჯავრი სჭირებიათ იმ კაცისა, თუ  
როგორ არი, დაუძახნიათ: „აქ მოჟიო!“ ის კაცი მისუ-  
ლია, მაგათ უთქვამთ: „წალი, ისევ შენ ალაგას დაჯე-  
ქიო!“ ის კაცი ისევ თავი ალაგას წასულა. მაგათ კიდევ  
დაუძახნიათ: „აქ მოჟი ემ წუთშიო!“ იმ კაცს რო პა-  
სუხიც არ მიუკია, მაგათ დაუყვირნიათ: „აქ მოლი ემ  
წუთშიო!“ იმ კაცს რო პასუხიც არ მიუკია, მაგათ და-  
უყვირნიათ: „აქ მოჟი, როკა გიბძანებთო!“ იმას უთ-  
ქვამს: „ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადავარდაო!“ ეგე-  
ნიც წამომხტარან: „როგორ თუ გადავარდაო!..“ (შემო-  
დის ბაბადე და ბოქაულს რო დაინახამს, იქნება მიესვენება ქა-  
რებსა) მისცვივნიან და სუ ლუკმა-ლუკმა დაუჩეხიათ ხან-  
ჯლითა! ამათი ულმერთობა ნახეთ ლა: თურმე ის კაცი  
ეველრება: „რაც გინდა მიყავით, ოლონც კი სული მა-  
ჩუქეთ, ოლონც კი ჩემი ყმაწვილი-კაცობა შეიბრალე-  
თო, ჩემ ცოლშვილს ობლათ ნუ დააგდებთო,—ნუ მო-  
მკლამთო!..“

ბაბ. (პირზე ხელებს მიიფარებს და გუშეტებაზე დაეცემა):  
ვაიმე, შვილო! მოგიკვდეს დედა, შვილო, მოგიკვდეს!..  
(შეხლებში წაიშენს ხელებს)

არტ. (ბოჭკუნი) მერე .. არავინა ყოფილა იქა...  
არავის გაუშველებია?

ბოჭ. ჯერ სულ ცოტანი ყოფილან და ვისაც მიუ-  
წევია გასაშველებლათ, ყველასთვინ ამ ყმაწვილებს ხან-  
ჯალი და ხმალი ულერებიათ!

დაგ. (თავზე ხელ წაიგდებს და სკაზე დაეცემა) ვამე  
დაღუპულო ოჯახო!! დამცირებულო გვარო!!

არტ. (საზოგადოებას) „წყლის კოკა, წყალზე გატ-  
ყდებაო!“ (სურათი)

### უ ა რ დ ა

#### 6. დონდართვი (აზიანი)

გორი, 1899 წ.

#### ს ა ხ ე დ ს ა წ ე დ (რეკვიტი):

ჩიბუხი (დავითს); მოხარშული დედალი, პური, ლვი-  
ნო, ვარია, ერბო-კვერცხი (ცასაძეს შემთაქვს); ქილა მა-  
წენით, კალათა—კვერცხებით, ცოცხალი დედალი (გლე-  
ხებს თვითოს თვითო); არყის ჭიჭები და ლოქით არყი (შეაფ-  
ში); საანგარიშო ჩოთქი; ნავაჭრი—ქალალდში შეხვეუ-  
ლი (სოფიოს); გატენილი ხურჯინი (ბიჭის).



三  
九  
七

ტერენტის ქალაქს წასვლა უნდოდა  
და (ცოლს დაუწყო მან დარიგება: ვა ვა)

„მივდივარ, მაშო, და შენს ხელთ ჩეგბა  
ჩემი სახელი, პატიოსნება. (მიმდინარე) ცის

კარგიდ იცოდე, თუ მიღალატე, (ლაპარ) ასებუნ  
აღარ იქნები არსაღ საქები

და მე-კი იმ წამს, როს სხვაზე გამცვლი,  
გამომებმევა ზედ შუბლზედ რქები!..“

— „ოპ, ეგძრა სთქვიო, უთხრა მაშიცომზ:  
რალად მინდიხარ მერე რქიანი?!

ნუ გეფაქტება, მარტო მაგ შიშით დასახლება  
ვიქები მუდამ ნამუსიანი”...

შეახტა მარჯვედ ცხენსა ტერენტი,  
ქუსლი შემოჰკრა და გაჲენა,  
დაჲყო მან ქალაქს რამდენსამე დღეს  
და კვლავ დაბრუნდა სახლისაკენა.

კოლი ღმისლით გამოეგება  
და ნიშნის-გებით, უთხრა სიტყვები:

— „ମୁଁ ରା ପ୍ରକୃତ୍ସବ ଦୋ ରା ମାତ୍ରପ୍ରକାଶ,  
ଏହା ମହିନେନ୍ଦ୍ର, ଶାରୀ ଗୁରୁତ୍ୱ ରଖେବା?“

38...  
38...  
38...